ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 30 ივლისი, 2015 | 1176 (6796) | აფცბ5 №) სტსჰბ

## ბექოს" აეკრძალა ბარსელონა"– სევილიას" მატჩის ბილეთების სარეკლამო ჩუქება

გვ.6




# დოდო სიდიანი-აფრასიძე: სასამართლოზე ნახავს გია ბარამიძე, ვინ არიან ნამდვილი სვანები"

გვ.4



### ეცერში ჩატარებულ სპეცოპერაციაში ამერიკელი სნაიპერები მონაწილეობდნენ?

„კარგა ხანია, ამ თემაზე ხმა არ ამომიღია, ვიცი, რომ გამოძიება მიდის და შედეგს ველოდებით, მაგრამ ბარამიძე არ ისვენებს და სულ ჩვენს ხსენებაშია. ეტყობა, საქმე გახსნისკენ მიდის და ეშინია. ალბათ ამიტომაც გამწარდა, პარლამენტის სხდომაზე მას ვიქტორ ჯაფარიძემ ძველი ცოდვები რომ გაახსენა".

### აფრასიძეების საქმე მალე გაიხსნება



## ვინ გახდება შს მინისტრი

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „მის ვინაობას 1 აგვისტომდე დავასახელებ"



ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა.

30 ივლისს, დილის 10 საათიდან, ბათუმში, ხულოში, ქედასა და შუახევში ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. აგრეთვე გაითიშება ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის, ხობისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებ გვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.



## გუგული მაღრაძე: 2016 წლის არჩევნები ქართული ოცნებისთვის" რთული იქნება"

გვ.2

ISSN 1987-9385

## იქნება თუ არა პრეზიდენტის ვეტო პოლიტიკურად მოტივირებული



გვ.5

# რუსეთი შიდა ქართლში საზღვრის გადმოწევას გააგრძელებს



## რას ფიქრობენ ამერიკელი ექსპერტები

მარიამ მჭედლიშვილი

**ამ დღეებში მცოცავი აგრესიის თემამ უკანა პლანზე გადაიწია, თუმცა, ეს პრობლემის მოგვარებას არ ნიშნავს. ამაზე უცხოელი ექსპერტებიც საუბრობენ.**

ამერიკული გაზეთი „სტრასფორი“ აანალიზებს რუსეთის აგრესიულ მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევასთან შიდა ქართლში.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, რუსეთის ამ მოქმედებებს გარკვეული ფაქტორები განაპირობებს. რუსეთი ამ კუთხით თავის პოლიტიკას გააგრძელებს, თუმცა, შეიარაღებულ კონფლიქტში ამ ეტაპზე არ ჩაერთვება.

— რუსეთის დახმარებით სამხრეთ ოსეთის სადავო ტერიტორია სულ უფრო ღრმად იწევს საქართველოსაკენ, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, ეს ექსპანსია სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს, — წერს გაზეთი.

მცოცავი აგრესიის განმაპირობებელ ფაქტორებად დასახელებულია შეზღუდული ტერიტორიის გამო რუსეთის არმიის არამყარი პოზიცია „სამხრეთ ოსეთში“, ასევე დასავლეთის სამხედრო მოქმედებები შავ ზღვაზე.

ავტორების თქმით, საქართველოს სიღრმეში თანდათან შემოსვლა რუსეთმა 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო. ცხინვალის რეგიონი, ანუ, მათი სიტყვებით, სამხრეთი ოსეთი, საქართველოს ტერიტორიითაა გარშემორტყმული. სამხრეთისკენ გადაადგილებით რუსეთის ჯარი უზრუნველყოფს სივრცეს მანევრებისათვის. შეიარაღებული კონფლიქტის განახლების შემთხვევაში, ეს სივრცე თავდაცვით ინფრასტრუქტურასთან ერთად რუსეთს დროის მოგების საშუალებას მისცემს.

რატომ შეირჩა მცოცავი აგრესიის ახალი ეტაპისათვის მაინცდამაინც ეს პერიოდი?

ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, სამხრეთ კავკასიაში იცვლება პოლიტიკური ვითარება. იქ იზრდება დასავლეთის სამხედრო გავლენა რუსეთსა და დასავლეთს შორის სერიოზული დაპირისპირების ფონზე. რუსეთისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნაბიჯები, რომელთაც საქართველო დგამს ევროკავშირში გასაწევრიანებლად. მოსკოვი ასევე შეშფოთებულია სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებით საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის. ამ ქვეყნების საერთო მიზანია მათ ტერიტორიებზე განლაგებული მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვა.

რუსეთს არ აწყობს ისიც, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს არმიამ გააქტიურა თავისი მონაწილეობა ერთობლივ წვრთნებში აშშ-ს შეიარაღებულ ძალებსა და ნატოს ქვეყნებთან.

— მიუხედავად იმისა, რომ საზღვრების ტაქტიკური გადმოწევა უცნაურად გამოიყურება და ძნელად აღიქმება, როგორც პოლიტიკური საპასუხო ზომა, მას მაინც აქვს მნიშვნელობა ჩრდილოეთ ოსეთში მყოფი რუსეთის არმიის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, — წერს გაზეთი.

მისი ინფორმაციით, მალე საქართველოში გაიხსნება ნატოს სასწავლო ცენტრი. ეს გააძლიერებს თბილისის სამხედრო პოტენციალს და გაზრდის დასავლეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობას საქართველოს ტერიტორიაზე. სწორედ ამ კონტექსტში რუსეთი ცდილობს გააფართოოს თავისი შესაძლებლობები რეგიონში.

„სტრასფორის“ სიტყვებით, რუსეთს შეუძლია საქართველო ორ ნაწილად — აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად დაშალოს.

რუსეთის ინტერესის საგანია ავტომაგისტრალი, რომელიც მნიშვნელოვანი სავაჭრო გზაა მიწისზედა გადაზიდვებისათვის აზერბაიჯანიდან შავი ზღვის პორტებისა და თურქეთისაკენ. დაახლოებით ამ მნიშვნელოვანი მაგისტრალის გასწვრივ გადის კომპანია ბი პი-ს ორი მილსადენი — ბაქო-სუფსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.

რუსეთის მოქმედებები ნიშნავს სიგნალს დასავლეთისათვის. რუსეთი მიანიშნებს, რომ ახორციელებს კონტროლს ენერგეტიკულ ნაკადებსა და სავაჭრო ოპერაციებზე კასპიის რეგიონსა და ევროპას შორის.

— საზღვრის გადმოწევა, რომელმაც ტენდენციის ხასიათი შეიძინა, დაკავშირებულია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამხედრო სტრატეგიასთან, — დაასკვნის გაზეთი.

# გუგული მაღრაძე: 2016 წლის არჩევნები ქართული ოცნებისთვის“ რთული იქნება“

ნათია ხურცილავა





**2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სახელისუფლო კოალიცია „ქართული ოცნება“ შეიძლება გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდეს. „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გუგული მაღრაძეს ესაუბრა.**

***— ქალბატონო გუგული, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებსა და წინასაარჩევნო განწყობებზე მინდა გკითხოთ. ექსპერტები აცხადებენ, რომ მნიშვნელოვანი არჩევნები გველოდება. თქვენი მოლოდინები როგორია?***

— 2016 წლის არჩევნები უნდა ჩავატაროთ ისევე, როგორც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ჩავატარეთ, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ვგულისხმობ გამჭვირვალე, დემოკრატიულ არჩევნებს. 2016 წლის არჩევნები იქნება კიდევ ერთი ნიშანი იმის, რომ საქართველო შეუქცევადად ადგას დემოკრატიის გზას. მე ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები უფრო მშვიდ ვითარებაში ჩატარდება. ეს არ არის 2012 წლის მსგავსი არჩევნები, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო. უფრო გამოიკვეთება პოლიტიკური მიმართულებები, ეს იქნება კოალიციები თუ ცალკეული პარტიები.

2012 წლის არჩევნების უმთავრესი ამოცანა იყო ნაციონალური მოძრაობის დამარცხება, რომელსაც ბევრი ზიანი და უბედურება მოჰქონდა ქვეყნისთვის, ხალხისთვის. ახლა კი ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანია პოზიტივზე უნდა იყოს აგებული.

***— კონკრეტულად?***

— თუ რა გავაკეთეთ, რა შეგვიძლია გავაკეთოთ, როგორი იქნება მომავალი. ხალხს უნდა დავანახოთ განვითარების პერსპექტივები და ასევე უნდა დავანახოთ, რომელ პოლიტიკურ ძალას შეუძლია, უკეთესად აიღოს თავის თავზე ეს პასუხისმგებლობა, რასაც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის განვითარება ჰქვია. ამ მხრივ მეტი სამუშაოები იქნება გასაწევი.

***— წინასაარჩევნოდ შეიძლება თუ არა ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ პოლიტიკურ არენაზე?***

— მე არ ვვარაუდობ, რომ ახალი პოლიტიკური მოთამაშეები ამ ერთი წლის განმავლობაში გამოჩნდნენ. ალბათ არსებული პოლიტიკური ძალების ახალი გადაჯგუფება მოხდება, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ სწორედ „ქართული ოცნება“ იქნება ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც არჩევნებში უპირატესობა ექნება.

***— კოალიცია „ქართული ოცნება“ რამდენად შეინარჩუნებს ერთობას?***

— შეიძლება რაღაც გადახალისება მოხდეს კოალიციის შიგნით, მაგრამ მაინც კოალიციური ტიპის იქნება. 2016 წლის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნება“ იქნება რამდენიმე სხვა ძალასთან ერთად.

***— კონკრეტულად ვისთან? ამაზე არის საუბარი?***

— კონკრეტულად ვინ იქნებიან ეს ძალები, ვერ გეტყვით, მაგრამ „რესპუბლიკელები“ რომ იქნებიან, „კონსერვატორებიც“, „მრეწველები“ გასაგებია, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, შიდა კონფიგურაცია როგორი იქნება.

***— ხომ არ დადგა ის დრო, რომ სწორედ ახლა მოხდეს პოლიტიკური ძალების, პარტიების დაჯგუფება მათი პლატფორმის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ორიენტაციის, საგარეო ვექტორების გათვალისწინებით?***

— ცხადია, ამ არჩევნებზე სწორედ ამ ფაქტორებს მიენიჭება გაცილებით მეტი მნიშვნელობა, ვიდრე წინა არჩევნებზე, მაგრამ ვერ გეტყვით, ელექტორატი რამდენად იქნება მხოლოდ ამ ფაქტორებზე და საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული. თუმცა, ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა საგარეო ვექტორებს ექნება, ეს იქნება დასავლური ვექტორი თუ ჩრდილოეთის ვექტორი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ჯერჯერობით ეს მაინც არ იქნება ის არჩევნები, როდესაც წამყვანი არის პარტია და მისი საარჩევნო პროგრამა. ესა თუ ის პარტია თუ კოალიცია ვის მიერ იქნება წარმოჩენილი და როგორ მოახერხებს იდეების შეთავაზებას, ამას დღესაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, გადამწყვეტი მნიშვნელობა.

***— თქვენ ამბობთ, რომ ამომრჩეველი არ გაიზარდა?***

— არა, სწორედ იმას ვამბობ, რომ ელექტორატი მომწიფებული იქნება იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი რეალისტური ხედვა იყოს შეთავაზებული. თუმცა, შეიძლება ცოტა გართულდეს ელექტორატისთვის სწორი ორიენტირების მიწოდება.

***— რატომ?***

— მედია საშუალებების არათანაბარი განვითარების გამო.

***— ქალბატონო გუგული, თუ დეპუტატები, მინისტრთა გარკვეული ნაწილი, უარს იტყვის მედიასთან ურთიერთობაზე, პრემიერმა მათ მოუწოდა, რომ გამოვიდნენ და ესაუბრონ ხალხს, თავიანთი სათქმელი მიიტანონ ხალხამდე.***

— მინისტრი რომ გამოვიდეს და ისაუბროს თავის გაკეთებულ საქმეებზე, ეს თითქოს საინტერესო არ იქნება. სამწუხაროდ, დამკვიდრებულია სტერეოტიპი, რომ ნეგატივი მოსწონს ჩვენს საზოგადოებას და მხოლოდ ამას აღიქვამს.

***— თქვენ ახსენეთ, რომ ისევ პერსონები, პოლიტიკური ფიგურები არიან მთავარი. „ქართული ოცნებისთვის“ გადამწყვეტ ფიგურად კვლავ ბიძინა ივანიშვილი რჩება? მის ფაქტორს კვლავ ექნება გავლენა 2016 წლის არჩევნებზე?***

— ბიძინა ივანიშვილის პიროვნებას არა თუ 2016 წლის არჩევნებზე, არამედ ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, სანამ იქნება საზოგადოებრივ ასპარეზზე, ყოველთვის ექნება გავლენა.

***— „ქართული ოცნების“ მთავარი ოპონენტი ვინ იქნება?***

— ერთი ოპონენტი არ ეყოლება, სხვადასხვა ოპონენტი ეყოლება. ნაციონალური მოძრაობა, ცხადია, იქნება, ასევე „თავისუფალი დემოკრატები“, მაგრამ რა კონფიგურაციით იქნებიან, ჯერ არ ვიცით. ასევე იქნება ბურჯანაძე, „პატრიოტული ალიანსი“ და სხვა ძალები. ყველა ეს პარტია სხვადასხვა მიმართულებით გააკრიტიკებს მმართველ ძალას. „ქართული ოცნებისთვის“ ადვილი სიტუაცია ნამდვილად არ იქნება.

***— არჩევნებზე ხალხი მივა? თვითმმართველობის არჩევნებზე ეს პრობლემა იყო.***

— ცოტა სხვა ტიპის მუშაობა მოგვიწევს, დავარწმუნოთ ადამიანები, რომ აუცილებელია არჩევნებზე მისვლა. 2012 წლის არჩევნებზე ხალხს არჩევნებზე მისვლის მოტივაცია ჰქონდა. ახლა არის საშიშროება, რომ ხალხი ასე ინტენსიურად არ გამოცხადდეს არჩევნებზე. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობის სხვა ტიპის მობილიზება დასჭირდება.

***— სხვა ტიპის მობილიზებაში რას გულისხმობთ?***

— მოსახლეობის დარწმუნებას, რომ მათი ხმა ძალიან მნიშვნელოვანია. რისთვის არის მნიშვნელოვანი, ეს კი „ქართულმა ოცნებამ“ უნდა ჩამოაყალიბოს წინასაარჩევნო სტრატეგიის შემუშავების დროს. რა აქცენტები იქნება დასმული, ვერ გეტყვით, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ დასჭირდება მოსახლეობის დარწმუნება, რომ ისინი არჩევნებზე უნდა მოვიდნენ.

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# რეზიდენცია და მარგველაშვილის პოლიტიკური ფსონი

**ფორ.გე აგრძელებს მუშაობას ათონელის ქ. №25-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.**

**მას შემდეგ, რაც ჩვენ გავასაჯაროვეთ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის და მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმოწერა, რომლის თანახმად, ირინა იმერლიშვილი დათანხმდა მთავრობის წინადადებას, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი განთავსებულიყო ათონელის რეზიდენციაში, იმერლიშვილმა გადაწყვეტილება შეცვალა და ათონელზე გადასვლა გადაიფიქრა.**


ათონელის რეზიდენცია

როგორც ცნობილია, ირინა იმერლიშვილი თანახმა იყო, რომ პრეზიდენტს დაქვემდებარებული ეროვნული უშიშროების საბჭო ათონელის №25-ში განთავსებულიყო. სწორედ ამ თანხმობის შემდეგ მიმართა მთავრობის ადმინისტრაციამ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შენობის უშიშროების საბჭოს აპარატისთვის გადაცემის თაობაზე. აქედან გამომდინარე, ათონელის 25-ში მდებარე უძრავი ქონება ქონების ეროვნულმა სააგენტომ, სარგებლობის უფლებით, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს გადასცა.

ამ ინფორმაციას ეროვნული უშიშროების საბჭოს პრეს-სამსახურში კატეგორიულად უარყოფდნენ. თუმცა, ფორ.გე-მ ექსკლუზიურად მოიპოვა მტკიცებულება, რითაც დასტურდებოდა, რომ იმერლიშვილი ნამდვილად თანახმა იყო, ეროვნული უშიშროების საბჭო განთავსებულიყო თბილისში, ათონელის ქ №25-ში. ფორ.გე-ს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტალური მტკიცებულების შემდეგ, იმერლიშვილმა 2015 წლის 17 ივლისს, მთავრობის ადმინისტრაციის უფროს მაია ცქიტიშვილს წერილობით მიმართა.

წერილში იმერლიშვილი მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იმ მიზეზებს განუმარტავს, რის გამოც ჩაიშალა მოლაპარაკება ათონელის №25-ში გადასვლასთან დაკავშირებით.

ფორ.გე-მ მთავრობის კანცელარიიდან ოფიციალურად მოითხოვა 2015 წლის 17 ივლისით და 28 ივლისით დათარიღებული წერილები, რომლებიც ადასტურებს, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი თანახმა იყო ათონელის ქ. №25-ში მდებარე სახელმწიფო შენობაში გადასვლაზე იმ დათქმით, რომ საქართველოს პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია მუშაობას გააგრძელებდნენ აბდუშელიშვილის ქ. №1-ში (ავლაბრის რეზიდენცია) — პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ შენობაში. იმერლიშვილი მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზად თემის პოლიტიზებას ასახელებს.


ირინა იმერლიშვილი
მაია ცქიტიშვილი

— ჩვენ შორის მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი პოლიტიკურია და არა — ლოჯისტიკური, — წერს იმერლიშვილი.

ამავე წერილში იმერლიშვილი კიდევ ერთ საინტერესო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას და წერს, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო, რომლის აპარატის ოფისი აღჭურვილი უნდა იყოს ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად, გათვალისწინებული არ არის ათონელზე მდებარე შენობაში. ამაში კი უშიშროების საბჭოს მდივანი მაშინ დარწმუნდა, როდესაც 8 ივლისს აღნიშნული შენობა დაათვალიერა.

— უშიშროების საბჭოს აპარატთან არასდროს შეთანხმებულა, თუ რა საჭიროებებს უნდა აკმაყოფილებდეს მისთვის განკუთვნილი შენობა, ვინაიდან, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, იგი არ იყო გათვლილი საბჭოს აპარატის ფუნქციონირებისთვის. ამაში დავრწმუნდი, როდესაც პირველად ა.წ. 8 ივლისს დავათვალიერე აღნიშნული შენობა. შესაბამისად, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და მისი აპარატის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი მოთხოვნების უზრუნველყოფა დამატებით ფინანსურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, — წერს იმერლიშვილი, თუმცა უცნაურია, რომ თანხმობა მანამდე განაცხადა.

ამავე წერილით, იმერლიშვილი მთავრობას რჩევას აძლევს, მთავრობას დაქვემდებარებული რომელი უწყება შეიძლება განთავსდეს ათონელზე.

— იმ ფონზე, როცა რამდენიმე სახელმწიფო უწყება დარჩენილია ფართის გარეშე, მაგალითად, გაყიდულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობა, ორი სახელმწიფო მინისტრის აპარატი განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილ შენობაში, რომელიც პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით გადაეცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მთავრობის სხდომაზე ითხოვდა ალტერნატიული ფართის გადაცემას, რადგან სამინისტროს ამჟამინდელი შენობა სავალალო მდგომარეობაშია.

იმედს ვიტოვებ, რომ სწორედ საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა რაციონალურად განკარგავს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ათონელის ქ. №25-ში მდებარე შენობას. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი კი აგრძელებს მუშაობას მის ამჟამინდელ იურიდიულ მისამართზე, ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ №1-ში. ამასთან, ვფიქრობ, მოიხსნება კითხვები საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ „ჭარბი“ ფართის დაკავებასთან დაკავშირებით, — წერს ირინა იმერლიშვილი.

◆ ◆ ◆

უშიშროების საბჭოს მდივანს წერილობით უპასუხა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა.

**მაია ცქიტიშვილი წერს:**

— სამწუხაროა, რომ მიხვედით იმ დასკვნამდე, თითქოს ჩვენ შორის მიმდინარეობდა რაიმე მოლაპარაკება და, მითუმეტეს, რომ ეს მოლაპარაკება ჩაიშალა ჩვენ მიერ რაიმე პოლიტიკური მიზეზების გამო. პირიქით, სამწუხაროდ, სწორედ თქვენ ამბობთ უარს სამართლებრივი პროცედურის მიხედვით ალტერნატიულ ფართში გადასვლაზე და ყველა სხვა უწყებისათვის ჩვეულებრივი საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვას ცდილობთ.

მაია ცქიტიშვილი იქვე დასძენს, რომ მთავრობის ადმინისტრაციამ უშიშროების საბჭოს ათონელის №25-ში გადასვლა ადმინისტრაციულ შენობაში შესთავაზა უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ დაკავებული ფართის განთავისუფლების დაჩქარების მიზნით.

— აღნიშნულის თაობაზე მთავრობამ მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომელმაც, თქვენი თანხმობის შემდეგ, დაადასტურა თანხმობა ათონელის ქ. №25 მდებარე შენობაში უშიშროების საბჭოს აპარატისთვის ფართის გადაცემაზე. შესაბამისად, თქვენივე მომართვის საფუძველზე გადმოგეცათ სარგებლობაში აპარატის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფართი. აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უწყებები და მათ შორის უშიშროების საბჭოს აპარატი არ არიან უფლებამოსილნი, ქონების ეროვნულ სააგენტოს წარუდგინონ რაიმე დათქმები ან პირობები. განსაკუთრებით, როდესაც ასეთი დათქმები გულისხმობს სხვა უწყების განთავსების პირობას. ამდენად, ათონელის ქ. №25-ში არსებული ფართი გადმოგეცათ რაიმე დათქმების ან პირობების გარეშე თქვენივე თანხმობის საფუძველზე, — წერს მაია ცქიტიშვილი.

იმერლიშვილის პრეტენზიას — „ათონელზე მდებარე შენობა ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად არ არის აღჭურვილი“ — ცქიტიშვილი ასე პასუხობს:

— მოგეხსენებათ, რომ ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან მუშაობა უნდა წარიმართოს ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, რაც გულისხმობს ელემენტარულ უსაფრთხოების ზომებს. ცხადია, რომ პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის განთავსებისათვის მოწყობილი შენობა ათონელის ქ. №25-ში სრულად პასუხობს ნატოს უსაფრთხოების სტანდარტებს, ვიდეომეთვალყურეობის და დაშვების სისტემების ჩათვლით. ამავე დროს, მოგეხსენებათ, რომ სწორედ ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკიდან გამომდინარე, აბდუშელიშვილის ქ. №1-ში უშიშროების საბჭოს აპარატის გადასვლის შემთხვევაში, აღნიშნულ შენობაშიც საჭირო იქნება ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უშიშროების საბჭოს აპარატის ქვერეგისტრის მოწყობა და ამაში დამატებითი, თუნდაც მცირე, რესურსის დახარჯვა.

წერილში ცქიტიშვილი იმერლიშვილის იმ „რჩევასაც“ გამოეხმაურა, მთავრობას დაქვემდებარებული რომელი უწყება შეიძლება განთავსდეს ათონელზე.

მაია ცქიტიშვილი უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელისთვის გაგზავნილ საპასუხო წერილში წერს, რომ მისი მხრიდან ამ უწყებების სამუშაო პირობებზე ყურადღების გამახვილება ცინიკურად ჟღერს.



— მისასალმებელია, რომ თქვენთვის ცნობილია თუ რამდენი სახელმწიფო უწყებაა განთავსებული, თქვენივე თქმით, სავალალო მდგომარეობაში მყოფ შენობებში. სამწუხაროდ, იმ უწყებების სია, რომლებიც არც ადგილმდებარეობით და არც მოწყობის სტანდარტით არ აკმაყოფილებს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს, ბევრად უფრო ვრცელია და მოიცავს კულტურის და განათლების მნიშვნელოვან დაწესებულებებსაც.

თუმცა, მაშინ, როდესაც თქვენ უარს ამბობთ უმაღლესი სტანდარტით მოწყობილ ათონელის რეზიდენციაში გადასვლაზე იმ მიზეზით, რომ ეს ფართი არ აკმაყოფილებს საბჭოს ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს, მაშინ, როდესაც კარგად გესმით, რომ პრეზიდენტის, მისი ადმინისტრაციის და სათათბირო ორგანოს ფუნქციონირებისათვის სპეციალურად დაგეგმილი და მოწყობილი ფართის სხვა უწყებისათვის გადაცემა არ იქნება რაციონალური, და, ამავდროულად, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ერთად, საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე, განთავსებული ხართ საკმარისზე სამჯერ უფრო დიდ ფართში, თქვენი მხრიდან ამ უწყებების სამუშაო პირობებზე ყურადღების გამახვილება ცინიკურად ჟღერს.

ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფო ქონების მართვა არის მთავრობის, და არა ცალკეული უწყებების, ექსკლუზიური უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილის შესაბამისად, მთავრობის გადაწყვეტილებით, ათონელის ქ. №25-ში მდებარე შენობა გამოყოფილი იქნა პრეზიდენტის, მისი ადმინისტრაციის და სათათბირო ორგანოს ფუნქციონირებისათვის. ამ გადაწყვეტილების შეცვლა და სახელმწიფო ქონების დაკავება ვერ განხორციელდება ცალკეული უწყებების შეხედულებით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და ქონების პირველადი თანხმობის გარეშე, — ნათქვამია მაია ცქიტიშვილის წერილში.

ამავე წერილში ცქიტიშვილი წერს, რომ ასეთი თანხმობა აბდუშელიშვილის ქ. №1-ში განთავსებაზე არც პრეზიდენტის ადმინისტრაციას და არც უშიშროების საბჭოს მიღებული არ აქვს. შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ეროვნული უშიშროების საბჭოს აბდუშელიშვილის ქ. №1-ში განთავსება და ამ უწყებების მიერ მათ დებულებაში აღნიშნული მისამართის მითითება არ არის ამ სახელმწიფო ქონების მათთვის გადაცემის ტოლფასი და არ წარმოადგენს ამ ფართით სამართლებრივად გამართლებული სარგებლობის საფუძველს.

რას იზამს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, წარმართავს საკითხს სამართლებრივად თუ პოლიტიკურად, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

**თამთა ქარჩავა, ფორ.გე**



სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დოდო სიდიანი-აფრასიძე: სასამართლოზე ნახავს გია ბარამიძე, ვინ არიან ნამდვილი სვანები“

## ეცერში ჩატარებულ სპეცოპერაციაში ამერიკელი სნაიპერები მონაწილეობდნენ?

შორენა მარსაგიშვილი

**რა სიახლეებია აფრასიძეების საქმეში, რის გათვალისწინებას ურჩევენ გია ბარამიძეს, ვის ულოცავდა ის ომეხ და ევგენი აფრასიძის მოკვლას? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ომეხ აფრასიძის დედა, დოდო სიდიანი-აფრასიძე ესაუბრა.**


დოდო სიდიანი-აფრასიძე

**დოდო სიდიანი-აფრასიძე:**

— კარგა ხანია, ამ თემაზე ხმა არ ამომიღია, ვიცი, რომ გამოძიება მიდის და შედეგს ველოდებით, მაგრამ ბარამიძე არ ისვენებს და სულ ჩვენს ხსენებაშია. ეტყობა, საქმე გახსნისკენ მიდის და ეშინია. ალბათ ამიტომაც გამწარდა, პარლამენტის სხდომაზე მას ვიქტორ ჯაფარიძემ ძველი ცოდვები რომ გაახსენა.

ვიქტორს ვერაფერი უპასუხა, ჟურნალისტებთან საუბარში კი დიდგულობა დაიწყო, ნამდვილ სვანებს ჰკითხეთ, ვინ იყვნენ აფრასიძეები და ისინი გეტყვიანო.

*— ნამდვილი სვანები რას ნიშნავს?*

— ჯერ ერთი, ეგ უხსენებელი საერთოდ როგორ ბედავს სვანების ხსენებას. მერე რა უფლებით ახარისხებს სვანებს ნამდვილებად და არანამდვილებად. სვანებს შეეშვას და იმას მიხედოს, ადამიანი რომ არ არის. რაც შეეხება ნამდვილ სვანებს, ამას სასამართლო პროცესზე ნახავს.

*— რას გულისხმობთ?*

— იმას, რომ სასამართლოზე თავისი ყურით მოუსმენს ნამდვილ სვანებს და ისინი ეტყვიან მას თავის სათქმელს.

*— სასამართლოზე ნახავსო, ისეთი თავდაჯერებით ამბობთ, რომ საქმე სასამართლომდეა უკვე მისული?*

— საქმეში გარკვეული წინსვლაა. რაღაცებზე არ მინდა წინასწარ საუბარი და ამის გამო ნურავინ მიწყენთ.

*— მინიშნებით მაინც არ შეგიძლიათ, რაიმე რომ გვითხრათ?*

— ამის შესახებ მალე გაიგებთ. სხვათა შორის, ჟურნალისტები ამას ჩემზე ადრე გაიგებთ.

*— რამდენიმე თვის წინ ირმა ჭკადუამ თქვა, პროკურატურაში გია ბარამიძის დაბარებას აპირებენო. ამის შესახებ თუ არის რაიმე სიახლე?*

— ირმას კარგა ხანია არ შევხმიანებივარ. სიახლე რომ ყოფილიყო, დამირეკავდა და მეტყოდა. ადრე თუ გვიან, მაინც დაიბარებენ.

*— აეროპორტში დააკავეს ის სპეცრაზმელი, რომელიც ეცერში ჩატარებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა. რაიმე მნიშვნელოვანი ჩვენება ხომ არ მიუცია მას?*

— ამ დაკავებასთან დაკავშირებით ვარაუდები გამოითქვა. მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ჩვენება ჩამოართვეს და გამოუშვეს. გამოძიებას ამ საქმეზე ბევრი ჩვენება აქვს.

გია ბარამიძის წინააღმდეგ ნამდვილი სვანები მისცემენ ჩვენებას და იქ მოისმენს, ვინ არიან აფრასიძეები. კარგი, ჩვენ კრიმინალები ვიყავით, მაგრამ ეგ უხსენებელი კაციჭამიაა. ჩემი მეუღლე ცოცხლად დააწვევინა. სახლისთვის გაჩენილ ცეცხლზე კი ხელებს ითბობდა. კუბდარის ჭამა რომ მოინდომა მიცვალებულის ფეხებთან, ეს უკვე ყველამ იცის.

მის ბრალდებებს ვიქტორ ჯაფარიძის ბრალდებაც დაემატება. პარლამენტის სხდომაზე მას ვიქტორმა წამოაძახა, როგორ ულოცავდა ის მესტიელებს აფრასიძეების ამოწყვეტას.

*— უფრო დეტალურად შეგიძლიათ გვითხრათ, რა მილოცვაზეა საუბარი?*

— სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ ბარამიძე ეცერიდან მესტიაში ავიდა, გამგეობის წინ დადგა და მოსახლეობას მიულოცა აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა. ეს, როგორც ვიქტორი ამბობს, მამუკა ვეზდენმა გააპროტესტა და უთხრა, რითი ხართ ბატონო გია გახარებული, რომ ადამიანები ამოწყვიტეთო.

*— მართლა მიულოცა ბარამიძემ მესტიელებს თქვენი ოჯახის გაწყვეტა? ის ამბობს, რომ მსგავსი არაფერი გაუკეთებია. ამბობს, რომ ხალხი შეკრიბა და უთხრა, რომ ჩატარდა სპეცოპერაცია და მისი შედეგები გააცნო.*

— რატომ შეკრიბა მერე ხალხი? ტელევიზორით ვერ გაიგებდნენ ამის შესახებ? მთელი დღე ამაზე იყო საუბარი. იქ მივიდა იმიტომ, რომ ხალხისთვის ეჩვენებინა, რომ ყველაფერზე წამსვლელი იყო.

ხელისუფლებაში ახალი მოსულები იყვნენ და ძალაუფლების განმტკიცება სურდათ. იცოდნენ, რომ სვანები მათ მიმართ დადებითად არ იყვნენ განწყობილი. ამიტომაც ჩაიდინეს ეს სიმხეცე. ეს არ იყო სპეცოპერაცია, ეს იყო საჩვენებელი სადამსჯელო ღონისძიება. ჩემი ოჯახი სვანეთის და მთელი საქართველოს დასაშინებლად ამოწყვიტეს.

*— ბარამიძე რომ მესტიელებს თქვენი ოჯახის ამოწყვეტას ულოცავდა, ამას დაადასტურებს ვინმე?*

— ძალიან ბევრი ადამიანი დაადასტურებს. იმასაც დაადასტურებენ, ქალებმა როგორ ესროლეს ქვები. მთელი ეცერი მოვა სასამართლოზე და იტყვის, როგორ სთხოვდა ის ქალებს, კუბდარი მომართვითო. სვანურ ყველსაც ითხოვდა.

*— ჯაფარიძესთან მომხდარი დაპირისპირების შემდეგ მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ბარამიძე ამბობს, რომ იმ ოპერაციის ჩატარება იყო აუცილებელი, რადგან თქვენი ოჯახი მთელ სვანეთს აწიოკებდა.*




— კარგი, ბატონო, ვაწიოკებდით, მაგრამ ასეთი მეთოდით რატომ ჩაატარა სპეცოპერაცია. ისინი ეცერში ხომ ომეხის დასაკავებლად ჩამოვიდნენ. საქმეების გახსნა თუ უნდოდათ, ცოცხალი რატომ არ დატოვეს. დადგენილია, რომ ის დაკავების შემდეგ დახვრიტეს.

თითზე მას ძვირფასი ბეჭედი ეკეთა. როცა დახვრიტეს, მისი წაძრობა სცადეს. ეტყობა, საწყალს თითი გასიებული ჰქონდა და ბეჭედი არ გამოსძვრა. თითი მოაჭრეს და ასე მოხსნეს ბეჭედი. ესეც კრიმინალთან ბრძოლა იყო? ან გულიდან ოქროს მედალიონის ჩამოგლეჯა რა აუცილებელი იყო?!

მათი მიზანი კრიმინალთან ბრძოლა არ ყოფილა. მათი მიზანი ხალხის დაშინება იყო. ამისთვის საგანგებოდ შეარჩიეს ჩვენი ოჯახი. ყველა გვიცნობდა და ჩვენ წინააღმდეგ ჩატარებულ სადამსჯელო ღონისძიებას უფრო მეტი გამოხმაურება ექნებოდა.

ადრეც გითხარით და კიდევ გეტყვით, რომ ომეხის დაჭერა რომ სდომოდათ, უპრობლემოდ დაიჭერდნენ. ის მარტო, საკუთარი მანქანით ხშირად დადიოდა მესტიაში. დახვდებოდნენ გზაზე და დააკავებდნენ. ამის გარდა, ისიც დადგენილია, რომ ის პოლიციისთვის ჩაბარებას აპირებდა. ის ხელისუფლებას მარტის ბოლოს უნდა ჩაბარებოდა. ვიღაცას არ აწყობდა მისი ცოცხლად დატოვება და ამიტომაც მოკლეს. ჩემი მეუღლეც ამიტომ დაწვეს ცოცხლად.

*— თქვენ არაერთხელ გითქვამთ, მათი ცოცხლად დატოვება არ უნდოდათო. ამბობთ იმასაც, ბევრ ინფორმაციას ფლობდნენო. არ შეგიძლიათ გვითხრათ, რა ინფორმაციაზეა საუბარი?*

— ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. მე ქალი ვარ და მამაკაცების საქმეებში არ ვერეოდი. ომეხმა და ევგენიმ ბევრი რამე იცოდნენ. ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ალბათ, რაღაც ისეთი იყო, რაც არ უნდა გამჟღავნებულიყო. ამიტომაც ჩამოიყვანეს 1.200 სპეცრაზმელი.


გიორგი ბარამიძე

*— სპეცრაზმელების სიმრავლეს არც ბარამიძე უარყოფს. ამას იმით ხსნის, რომ შეიძლებოდა, თქვენი ოჯახის წევრები გაქცეულიყვნენ.*

— სად უნდა გაქცეულიყვნენ? ათი კაციც საკმარისი იყო ჩვენ დასაკავებლად. მოვიდოდნენ და მოიტანდნენ უწყებას. თუ დაკავება უნდოდათ, რატომ არ დაიბარეს რომელიმე მათგანი დაკითხვაზე? იქნება თავისი ფეხით მიდიოდნენ.

თუ მარტო ჩვენი დაკავება უნდოდათ და არა — საშინელების ჩადენა, წინა ღამეს რატომ შემოიპარნენ სოფელში ქურდულად და სოფლის მამაკაცები დააპატიმრეს?! ეს იმიტომ გააკეთეს, რომ იცოდნენ, ყველა გვერდით დაგვიდგებოდა. სახლების ჩამოვლას, პირდაპირ ჩვენთან მოსვლა არ ჯობდა? ან სანამ სროლას აგვიტეხდნენ, რატომ არ გვითხრეს, ჩაგვბარდითო, დილაუთენია დაგვესხნენ თავს.

*— ბარამიძის თქმით, ცეცხლი თქვენი ოჯახის წევრებმა გაუხსნეს სამართალდამცავებს.*

— ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის ფაქტი, რომ ჩვენი დამხმარე ვოვა მურავიოვი გამოცდილი მეტყვიამფრქვევე იყო. ხომ ამტკიცებდნენ, სპეციალურად ჰყავდათ რუსეთიდან ჩამოყვანილიო.

ჩვენ სხვა ქვეყნიდან არანაირი მეტყვიამფრქვევე არ ჩამოგვიყვანია, მაგათ კი უცხოელი სნაიპერები ჰყავდათ ჩამოყვანილი. ცნობილია, რომ იმ სპეცოპერაციაში ამერიკელებიც მონაწილეობდნენ.

*— ეს ინფორმაცია აქამდე არ გაჟღერებულა, შეძლებთ ამის დამტკიცებას?*

— ამის მოწმეები არიან და ჩვენებაც აქვთ მიცემული.

*— რას ამბობენ მოწმეები, საიდან იციან, რომ ამერიკელები იყვნენ?*

— როცა ყველაფერი დამთავრდა, სპეცრაზმელები ვერტმფრენებიდან დაბლა ჩამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ სნაიპერებიც. ეს ქალები ერთმანეთს ინგლისურად ესაუბრებოდნენ. მათი საუბარი ბავშვებმა მოისმინეს.

*— ქალებიც მონაწილეობდნენ ამ ამბავში?*

— მონაწილეობდნენ. სნაიპერებად ეს უცხოელი ქალები ჰყავდათ. ბავშვებმა ისინი იმ დროს ნახეს, როცა ყუთებს ალაგებდნენ.

*— რა ყუთებს ალაგებდნენ, ქალბატონო დოდო?*

— სნაიპერის შაშხანები ხომ თავის ყუთებში დევს და ამ ყუთებში აწყობდნენ იარაღს. ბავშვებმა ამის შესახებ გამოძიებასთანაც ისაუბრეს.

*— მოდით, ისევ ცეცხლის გახსნას დავუბრუნდეთ.*

— გვაბრალებენ, რომ ჩვენ გავხსენით ცეცხლი. ძალიანაც რომ გვდომოდა, ამას ვერც კი მოვასწრებდით. როცა თავს დაგვესხნენ, ოჯახში, ჩემ გარდა, ყველას ეძინა. მე დილით ადრე ვდგებოდი, საქონელს ხომ მიხედვა უნდოდა. ოდნავ გათენებული იყო, გრუხუნი რომ გავიგონე და ზევიდან წამოვიდა ტყვიების წვიმა. ამის შემდეგ გამოვარდნენ ჩემები გარეთ.

სად გვცალოდა სროლისთვის. 4 მცირეწლოვანი ბავშვი გვყავდა სახლში და იმათ გადასარჩენად ვიბრძოდით. ზოგს ზედ გადავეფარეთ, ზოგიც მეზობელთან გავიყვანეთ.

ჩემი მეუღლე აივანზე ხელებაწეული გავიდა, ანიშნებდა, გბარდებითო. იმათ ვითომ არაფერი და სროლა გააგრძელეს. ევგენი იღლიაში დაიჭრა. შვილებმა ის სახლში შეიყვანეს და ტახტზე დააწვინეს. ამ სახლს მერე ცეცხლი გაუჩინეს. ბარამიძემ არავის არ მისცა იქ შესვლის და დაჭრილის გამოყვანის უფლება.

ცხონებული ჩემი მეუღლე, ეტყობა, თავად შეეცადა გამოსვლას. კარებამდე მოაღწია და მეტი ვერ შეძლო. მისი ძვლები კართან ვიპოვეთ, ის ცოცხლად დაიწვა. ამის ჩამდენ ადამიანს, ენა როგორ უბრუნდება კანონზე სასაუბროდ? ან რა უნდა მაგას საკანონმდებლო ორგანოში?

ოპერაციის დღეს ამბობდნენ, აფრასიძეების სახლიდან დიდძალი იარაღი ამოვიღეთო. სად არის ის იარაღი, წარმოადგინონ. ან იმ საქმეს რატომ არ იძიებენ, სასაფლაოდან ძვლები რომ ამოთხარეს.

*— ეს ამბავი ხომ მოგვიანებით მოხდა?*

— რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა ეს ამბავი. მთელ საქართველოს ამცნეს, რომ მიაგნეს იმ ადგილს, სადაც ვითომ ჩვენ მიერ დახოცილ ხალხს ვმარხავდით. ძვლები ამოთხარეს და წაიღეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ეს ძვლები, დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ადამიანებს ეკუთვნოდა.

იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადათ, ეს საქმე მიაფუჩეჩეს. მიცვალებულთა ძვლები ჩამოაცალეს და ტომრებით დაყარეს. აი, ასეთი ხალხი საუბრობს კანონის უზენაესობაზე და ხვდება კრიმინალებს.

---

შორენა მარსაგიშვილი

# ვინ გახდება შს მინისტრი

## ირაკლი ღარიბაშვილი: „მის ვინაობას 1 აგვისტომდე დავასახელებ“



საქართველო შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის მოლოდინშია. მას შემდეგ, რაც პარლამენტმა ვახტანგ გომელაური სუს-ის უფროსად აკურთხა, შსს მინისტრის გარეშე დარჩა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სადარაჯოზე გომელაური 1 აგვისტოდან დადგება. მანამდე იმედია, მისი შემცვლელის ვინაობას როგორმე დაასახელებენ.

ამ თემაზე მთავრობაში უკვე კარგა ხანია მსჯელობენ, მაგრამ რიგი მიზეზების გამო საჭირო კაცი ვერაფრით შეარჩიეს.

გავრცელებული ინფორმაციით, შს მინისტრის შერჩევამ „ქართულ ოცნებაში“ დიდი უთანხმოება გამოიწვია.

საქართველო პოლიტიკის ამბებში გათვითცნობიერებული წყაროები, როგორც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. თუმცა ამ ეტაპზე მან თანაგუნდელებს თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცა.

პირველი პოლიციელის პოსტის დასაკუთრება რამდენიმე ჯგუფს სურს. მათ შორის არიან რესპუბლიკელებიც.

ეს პარტია ბოლო დროს საგრძნობლად მოძლიერდა და თანაკოლეგებს ულტიმატუმის ენით ესაუბრება. მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში უმრავლესობის დატოვებით იმუქრებიან.

შს მინისტრის პოსტი დიდი აგულიშვილისთვის ემეტებათ. ვინც ამ თემაზე საუბრობს, ყველა აღიარებს, რომ ის კარგი პიროვნებაა, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს — რესპუბლიკელია.

მის გარდა, ამ თანამდებობაზე სასჯელაღსრულების მინისტრ გიორგი მღებრიშვილის კანდიდატურაც განიხილება.

როგორც კი გადაწყდა, რომ გომელაური სუს-ს ჩაუდგებოდა სათავეში, შს მინისტრობა ანზორ ჩუბინიძეს შესთავაზეს. ეს უკანასკნელი სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს უდგას სათავეში. ჩუბინიძემ ამ შეთავაზებაზე უარი თქვა. ამის მიუხედავად, მისი კანდიდატურა მაინც განიხილება.

გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრობის კანდიდატად შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი უჩა მამაცაშვილი ლობირებს.

ბოლო დღეებში კიდევ ერთი კანდიდატურა გამოჩნდა. არ გამორიცხავენ რომ ქვეყნის მთავარი პოლიციელის პოსტი კახა კალაძემ დაიკავოს.

პრემიერს მთავარი პოლიციელის ვინაობა 27 ივლისს უნდა დაესახელებინა. ეს დასახელება რამდენიმე დღით გადაიდო, რასაც ბუნებრივად მოჰყვა მითქმა-მოთქმა.

ვნებათა ხარისხი თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებამ კიდევ უფრო გაამძაფრა. 28 ივლისს ხიდაშელმა განაცხადა, რომ შს მინისტრის კანდიდატურასთან დაკავშირებით კონსულტაციები კოალიციურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ალბათ ბოლო 2 დღეში მოვლენები განვითარდება. ღარიბაშვილის განცხადებით, ახალ მინისტრს 1 აგვისტომდე დაინიშნავს.

— შინაგან საქმეთა მინისტრს მე წარვადგენ პირველ აგვისტომდე. თქვენ იცით, რომ ჩვენ გვაქვს ვადა 1 აგვისტომდე. ასე რომ, დაელოდეთ, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

# იქნება თუ არა პრეზიდენტის ვეტო პოლიტიკურად მოტივირებული

**ეროვნული ბანკის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის ალტერნატიული წინადადება არასამთავრობო ორგანიზაციებს პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილმა გააცნო.**

კანონზე მუხლობრივი და კონკრეტული შენიშვნები კვლავ უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პრეზიდენტის ალტერნატიული წინადადება საზედამხედველო სამსახურის ეროვნული ბანკის შემადგენლობაში დატოვებას ითვალისწინებს.

— კანონპროექტი, რომელიც შესაძლოა წარედგინოს პარლამენტს, ვეტოს შემთხვევაში სრულად ასახავს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას, სრულად არის თანხვედრაში ასოცირების დღის წესრიგთან, სადაც საუბარია ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის გაძლიერებაზე, მათ შორის საბანკო ზედამხედველობის გაძლიერებაზე და სრულად ასახავს ევროპის ცენტრალური ბანკის პოზიციებს, ასევე სრულად ასახავს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიციებს, სადაც საუბარია, რომ საბანკო ზედამხედველობა უნდა დარჩეს ეროვნული ბანკის შემადგენლობაში, — აცხადებს აბაშიშვილი.

მასთან შეხვედრაზე მისულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტს ვეტოს გამოყენება ურჩიეს, არსებულ კანონს არაკონსტიტუციურიც უწოდეს.

— ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება თუ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის საკითხი განიხილება. სარჩელის შეტანის უფლებამოსილება არ გვაქვს, თუმცა მზად ვართ, დავწეროთ „სასამართლოს მეგობრის“ პოზიცია. ეს არის გავრცელებული ფორმა, რომელსაც შეგვიძლია მივმართოთ და ასე გაგვიკეთებია სხვა შემთხვევაშიც, — აღნიშნა გიგაურმა.

იგივე პოზიცია გაიზიარა ღშშ-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ელენე ხოშტარიამ. კანონთან დაკავშირებით კონკრეტული შენიშვნები არც მას გამოუთქვამს და, გიგაურის მსგავსად, ზოგადი ექსპერტული კომენტარით შემოიფარგლა.

— მთელი არსი ეროვნული ბანკის ცალკე დამოუკიდებლად არსებობის არის ის, რომ არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე და რომელიმე ცალკეული პოლიტიკოსის კონკრეტულ სურვილზე. ეს უნდა იყოს პროფესიონალიზმზე და ეკონომიკური მიზანშეწონილობით ნაკარნახევი გადაწყვეტილებები. არა მხოლოდ ვეტო, რადგან ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ჩემი აზრით, აუცილებელია საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა ამასთან დაკავშირებით, — განაცხადა ხოშტარიამ.

◆ ◆ ◆

პრეზიდენტის დავალებით გამართულ შეხვედრაზე მხოლოდ ის არასამთავრობოები მიიწვიეს, რომლებიც უკვე მიღებულ კანონზე ვეტოს დადების მომხრეები არიან.

მეტიც, გუშინ შეხვედრაზე არ მიუწვევიათ პროფილური ორგანიზაციები, რომლებსაც ეროვნული ბანკის შესახებ კანონი უშუალოდ ეხებათ, თავდაპირველ ინიციატივას ეწინააღმდეგებოდნენ და პარლამენტში კანონის განხილვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ.

ისინი აცხადებენ, რომ საკანონმდებლო ორგანომ მათი ძირითადი შენიშვნები გაითვალისწინა და არსებული რედაქცია მათთვის მისაღებია.

საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ცუცქირიძე, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ალტერნატიული პროექტის განხილვაში მონაწილეობისთვის არ დაკავშირებია, აცხადებს, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტში ყველა ის შენიშვნა შევიდა, რომელიც მათ აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით ჰქონდათ.

— მიგვაჩნია, რომ საბანკო ასოციაცია წარმოადგენს ამ საკითხში ყველაზე კომპეტენტურ ბიზნეს გაერთიანებას. ჩვენ არ ვყოფილვართ მიწვეული შეხვედრაზე, თუმცა, გვსურს ღიად დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია, — განაცხადა ცუცქირიძემ.



მისი თქმით, თუკი პრეზიდენტს და მის რეზიდენციას ჰქონდათ შენიშვნები, რატომ არ ჩაერთვნენ ამ პროცესში, რომელიც ორი თვის განმავლობაში საჯაროდ და ღიად მიმდინარეობდა?

— ჩვენ ჩართული ვიყავით განხილვაში, შენიშვნები შესულია პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტში და, აქედან გამომდინარე, ამ საკითხის გაწელვა მიგვაჩნია, რომ საზიანო უფრო იქნება საბანკო სექტორისთვის, ვიდრე პოზიტივი. კანონი შენიშვნების გათვალისწინებით არის დაბალანსებული, რომელშიც ასახულია ყველა ის მოსაზრება, რომელიც დაკავშირებული იყო ზედამხედველობის ფუნქციის ოპტიმიზაციასთან. ძალიან ბევრი სერიოზული ცვლილება შევიდა, მათ შორის, სააგენტოს ფორმირების წესში, გადაწყვეტილების მიღების წესში, ინფორმაციის კორდინირების წესში და ა.შ, — განაცხადა ცუცქირიძემ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე დასწრება არ შეუთავაზებიათ საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გოგი ლოლაძისთვის, რომელიც აცხადებს, რომ ეროვნული ბანკის შესახებ კანონის წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნები მისთვის გაუგებარია.

— მე ამ კანონპროექტს ვუყურებ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კუთხით და ფასიანი ქაღალდების რეგულირება ნამდვილად უნდა იყოს გამოყვანილი ეროვნული ბანკიდან, — განაცხადა გოგი ლოლაძემ.

ფასიანი ქაღალდების რეგულირება თავის დროზე ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ხდებოდა, შემდეგ მოხდა ბაზრის რეგულირების შეტანა ეროვნული ბანკის კომპეტენციაში.

ამის შედეგად, გოგი ლოლაძის აზრით, დიდი ზიანი მიადგა ფასიანი ქაღალდების ბაზარს.

— თუ მოხდება ფასიანი ქაღალდების რეგულირების გამოტანა, ეს უაღრესად დადებითი მოვლენა იქნება, ვინაიდან ეს კანონი ეხება მთლიანად ფინანსური სექტორის ზედამხედველობას, რაც არის ფართე. საბანკო ინდუსტრია ერთ-ერთი კომპონენტია ფინანსური სექტორის. მივესალმები ამ კუთხით პარლამენტის გადაწყვეტილებას და არ ვიზიარებ იმას, რომ ამ ასპექტში წინააღმდეგობა უნდა იყოს გაწეული ნებისმიერი პირის მიერ, ეს იქნება პრეზიდენტი თუ სხვა. ეს დადებითი მოვლენა იქნება ფასიანი ბაზრის განვითარების კუთხით, — განაცხადა გოგი ლოლაძემ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის არგუმენტებით ინტერესდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციების თავმჯდომარე არჩილ ბაკურაძე, რომელიც შეხვედრაზე არ მიუწვევიათ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციების თავმჯდომარე ასევე აღნიშნავს, რომ მისთვის გაურკვეველია, რატომ შეიძლება დაადოს პრეზიდენტმა ეროვნული ბანკის შესახებ კანონპროექტს ვეტო.

— მე ველოდებოდი მოწვევას, გვინდოდა მოხვედრა ამ ღონისძიებაზე და პრეზიდენტის არგუმენტების მოსმენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით არ დაგვკავშირებიან. ძალიან მაინტერესებდა მოსაზრებები, რადგან პოლიტიზებული მგონია ეს თემა. დაკავშირების შემთხვევაში მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა შეხვედრაში, — განაცხადა ბაკურაძემ.

მისი თქმით, არ არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფის შემთხვევაში, სააგენტო პოლიტიზებული გახდება.

◆ ◆ ◆

წარადგენს თუ არა პრეზიდენტი პარლამენტში იმ ალტერნატიულ კანონპროექტს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოსთვის ნაციონალურ მოძრაობას უნდა შეეთავაზებინა, ჯერ უცნობია. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ 10 დღის ვადაში ალტერნატიული პროექტის მომზადება შეუძლებელია.

კანონზე ვეტოს დადებასთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის სურვილს განხილვაზე მყოფმა ძირითადად არაპროფილურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის რეკომენდაცია დაამატეს, თუმცა პრეზიდენტის მრჩეველმა გიორგი აბაშიშვილმა კონკრეტულად არ უპასუხა კითხვას, გაითვალისწინებს თუ არა პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამ რჩევას.

რაც შეეხება ვეტოს, აბაშიშვილი ამბობს, რომ პარლამენტის მიერ კანონზე ვეტოს დადების თარიღი გიორგი მარგველაშვილის გადასაწყვეტია, თუმცა ეს შესაბამისი ვადის ამოწურვამდე, ანუ 1 აგვისტომდე მოხდება.

ნანა სიხარულიძე

# გია გაჩეჩილაძე: რუსეთის აგრესიის შეჩერება შეგვეძლო“

## ნაციონალების დროს ენერგოობიექტების უმრავლესობა რუსების ხელში გადავიდა

### ინტერვიუ პარლამენტის წევრთან, მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძესთან

გულიკო ბალაძე



***— ბატონო გიორგი, პარლამენტმა რუსეთის მიერ საოკუპაციო საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო. რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ საზღვრის გადმოწევა არ მომხდარა. თქვენ რას ამბობთ?***

— მანდ საზღვრის გადმოწევაზე არ არის საუბარი.

***— საოკუპაციო ზოლის გადმოწევაზე ვსაუბრობ.***

— იმ საოკუპაციო ხაზზეა საუბარი, რომელიც ნაცმოძრაობამ უკანონოდ აღუდგინა რუსეთს. ამასთან დაკავშირებით პარლამენტში სერიოზული კამათი იყო. რეზოლუციის ორი პროექტი არსებობდა. ერთი „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა, მეორე — ნაციონალურმა მოძრაობამ.

მე პირდაპირ განვაცხადე, რომ ნაცმოძრაობის არანაირ რეზოლუციას მხარს არ დავუჭერ. ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელმაც აღნიშნული პრობლემა შეუქმნა საქართველოს, ახლა გამოდის და უნდა პარლამენტს თავს მოახვიოს თავის მიერ ჩადენილი დანაშაულის გასაბათილებელი რეზოლუცია.

***— რეზოლუციით გაბათილება რაში გამოიხატა?***

— სურთ საზოგადოებას დაავიწყონ, რომ ის უბედურება, რაც ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს, მათი ქმედების შედეგია. უნდოდათ თავისი დანაშაული დღევანდელი ხელისუფლებისთვის გადაებრალებინათ. ამიტომ სერიოზული კამათი გაიმართა.

როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი, ვცდილობ, ობიექტური ვიყო, რაც სახელმწიფოებრივად და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, ისეთ თემებზე ვსაუბრობ ხოლმე.

რეზოლუციის ავტორებს სამი კითხვა დავუსვი, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე, იმდენად დაიბნა, აიჭრა და სისულელეების ლაპარაკი დაიწყო გიორგი კანდელაკმა.

ნაციონალები მოითხოვდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს მოწვევას.

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა ნაციონალებს 2008 წლის ომის დროსაც კი არ მოუთხოვიათ.

რუსებმა დაასწრეს ჩივილი ქართველებს. ამიტომ კანდელაკს ვკითხე, რატომ მაშინ არ მოითხოვეთ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა, როდესაც საქართველოში რუსეთის 58-ე არმია შემოვიდა, როდესაც დახოცეს ჩვენი ჯარისკაცები, რომ სასწრაფოდ აღეკვეთათ რუსეთის აგრესია-მეთქი.

მაშინდელ ხელისუფლებას მაშინვე უნდა შეეტყობინებინა გაეროსთვის და უშიშროების საბჭო მომენტალურად შეიკრიბებოდა. ჩნდებოდა შანსი, რუსეთის აგრესია შეგვეჩერებინა.

კანდელაკს პასუხი არ ჰქონდა. რა პასუხი უნდა გაეცა, როდესაც ყველამ არ იცის, რომ კითხვის ნიშნები არსებობს 2008 წლის მაშინდელი ხელისუფლების პოზიციებთან დაკავშირებით. გახსოვთ, როგორ გაიძახოდნენ, რუსეთს არ აინტერესებს...

***— რუსეთს ცხინვალი არ აინტერესებსო.***

— დიახ. ეს ძალიან საეჭვო გარემოებებია, რომელსაც გამოძიება სჭირდება, რომ დავადგინოთ, რატომ იმუშავა სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთის ინტერესებზე?!

***— მანდ ცხინვალის დაბრუნების სანაცვლოდ კოდორის ჩუქებაზეა, მე მგონი, საუბარი,***



***მაგრამ რუსეთმა მოატყუა.***

— დიახ. რეზოლუციით ნაციონალები კარასინ-აბაშიძის ფორმატის გაუქმებას მოითხოვდნენ, ქვეყნისთვის საზიანოაო.

არსებობს ევროპის პარლამენტის 2011 წლის 17 ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც ეხება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების საკითხებსა და მოთხოვნებს, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, რომ გააფორმოს ასოცირების ხელშეკრულება.

იქ არის პუნქტი, რომლითაც ევროპარლამენტი პირდაპირ ითხოვს, რომ გარდა ჟენევის მოლაპარაკებებისა, რომელიც პოლიტიკური პროცესია, შეიქმნას მეორე, პარალელური ფორმატი, რომელმაც არ უნდა ჩაანაცვლოს ჟენევის ფორმატი.

როდესაც ვკითხე, რატომ არ შექმენით მეორე ფორმატი, რომელსაც ევროპარლამენტი გავალდებულებდათ-მეთქი (დღევანდელმა ხელისუფლებამ შექმნა ასეთი ფორმატი და მან თავისი ნაყოფი გამოიღო — ეკონომიკური ურთიერთობები აღდგა, სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადის), ასეთი პასუხი მივიღე, ევროპარლამენტის ეს რეზოლუცია და სხვა ასეთი რეზოლუციები, რომელიც მოითხოვენ ამგვარ ურთიერთობას რუსეთთან, ყველაფერი სისულელეაო.

***— ისე, როცა მათ აწყობთ, დღევანდელი ხელისუფლებისგან არა მხოლოდ ევროპარლამენტის რეზოლუციის, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულებასაც ითხოვენ.***

— ამით მათ შეურაცხყოფა მიაყენეს მთელ დასავლურ სამყაროს, რაც, ალბათ, რუსებს ძალიან გაუხარდებათ. ომის შემდეგ ხელისუფლებამ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა რუსეთის მოქალაქე გრიგოლ ვაშაძე.

მე აღმოვაჩინე, რომ გრიგოლ ვაშაძე იყო რუსეთის მოქალაქე და მანამდე მუშაობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების კვლევების დახურულ განყოფილებაში. დასკვნები თქვენ გამოიტანეთ.

კანდელაკს ვკითხე, რატომ გააკეთეს ეს, მაგრამ პასუხი არ გამცა. თითქოს ვერ გაიგო. მთელი პარლამენტი მოუტრიალდა და ეუბნება, ვაშაძეზე რას იტყვითო. ძალიან სასაცილო იყო.

***— თვითონ ნაციონალები არაოფიციალურად აწარმოებდნენ თურმე მოლაპარაკებებს რუსეთთან მერაბიშვილის მეშვეობით.***

გაგრძელება მე-11 გვერდზე

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
ქ-ნი ქეთევანი
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ბეკოს“ აეკრძალა ბარსელონა“— სევილიას“ მატჩის ბილეთების სარეკლამო ჩუქება

ლია ოსაძე







ცოტა ხნის წინ კომპანია „ბეკომ“ მოსახლეობას სიახლე შესთავაზა. ვინც „ბეკოს“ მაღაზიებში 3.000 ლარის საოჯახო ტექნიკას შეიძენდა, „ბეკო“ „ბარსელონა — სევილიას“ მატჩზე დასასწრებ 1 ბილეთს ჩუქნიდა, ხოლო ვინც 5.000 ლარის ტექნიკას იყიდდა — 2 ბილეთს.

ამ რეკლამის პარალელურად მედიაში გადის სხვა სახის ინფორმაციაც, რომლის მიხედვით, უეფას სუპერთასის ბილეთების ჩუქება იკრძალება.

ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა, რის საფუძველზე გადაწყვიტა კომპანია „ბეკომ“ „ბარსელონა“ — „სევილიას“ მატჩის ბილეთების სარეკლამო ჩუქება.

„ახალი თაობა“ ამ საკითხთან დაკავშირებით „ბეკოს“ იურისტ ავთანდილ თეთრაშვილს დაუკავშირდა. იურისტი ინტერვიუზე დაგვთანხმდა, მაგრამ გვთხოვა, შუადღის 14 საათისთვის დავკავშირებოდით და შევთანხმებულიყავით, სად და როდის შევხვედრებოდით ერთმანეთს.

როდესაც ავთანდილ თეთრაშვილს 14 საათზე დავურეკეთ, ჯერ ტელეფონზე არ გვპასუხობდა, რამდენიმე დარეკვის შემდეგ კი გვითხრა, რომ „ბეკო“ ამ რეკლამის განხორციელებას აღარ აპირებდა.

კითხვაზე, რა გახდა ამ გადაწყვეტილების საფუძველი, იურისტმა არ გვიპასუხა.

— შეხვედრაზე ვარ და თქვენი გაზეთის გულისთვის შეხვედრას ვერ გადავდებ, — გვითხრა ავთანდილ თეთრაშვილმა და მობილური გათიშა.

◆ ◆ ◆

„ახალი თაობა“ „საქპატენტის“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ გოგილიძეს** დაუკავშირდა.

***— ბატონო ნიკოლოზ, რა კომენტარს გააკეთებდით „ბეკოს“ მიერ გაკეთებულ რეკლამაზე?***

— უეფას მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები, რითიც აიკრძალა გარკვეული ქმედებები სხვადასხვა კომპანიების მხრიდან. მათ შორის, უეფას სუპერთასის ბილეთების გათამაშებაში გამოყენება, ან ნებისმიერ კომერციულ ღონისძიებაში გამოყენება და რეკლამირება, გარდა უეფას სპონსორი კომპანიების პროდუქციისა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა უეფას სუპერთასთან.

***— ფირმა „ბეკო“ საფეხბურთო გუნდ „ბარსელონას“ ოფიციალური სპონსორია. ჰქონდა თუ არა მას ასეთი რეკლამის გაკეთების უფლება?***

— „ბეკო“ „ბარსელონას“ ოფიციალური სპონსორია, თუმცა — არა უეფას სუპერთასის. „ბეკოს“ არ ეკრძალება „ბარსელონას“ სპონსორობა, მაგრამ ეკრძალება უეფას სუპერთასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება, ანუ ბილეთების გაყიდვა და გათამაშებაში ბილეთების გატანა.

საქპატენტს, მთავრობის განკარგულებით, დავალებული გვქონდა უეფას მითითებების შესრულება. აქედან გამომდინარე, ჩვენ უეფას გადავუგზავნეთ ინფორმაცია და ამის შესახებ ვაცნობეთ. უეფა დაუკავშირდა „ბეკოს“ სათავო ოფისს (არა საქართველოში), როგორც საფეხბურთო გუნდის „ბარსელონას“ ოფიციალურ სპონსორს და ეს განაცხადი აალებინა ვებგვერდიდან და სარეკლამო განცხადებიდან.

***— ესე იგი, „ბეკო“ 3.000 და 5.000 ლარის ტექნიკის შენაძენზე სუპერთასზე დასაწრებ ბილეთებს აღარ გააჩუქებს?***

— რა თქმა უნდა, არა. ამას რეკლამაშიც ვერ გამოიყენებს.

ორი რამ უნდა გავყოთ ერთმანეთისგან. ერთია საჯარო განცხადება, ნებისმიერი კომპანიისგან გაკეთებული, რაც რეკლამაში გადის და მეორე, კომპანიის ქმედება. იურიდიულად რომ შეხედოთ, მე, რომელსაც ერთი ბილეთი მაქვს, ყოველგვარი საჯარო განცხადებების გარეშე, ვისაც მინდა, იმას მივცემ, ეს არ კონტროლდება. მაგრამ ის, რომ „ბეკომ“ ოფიციალურად რაიმეს გამო ვინმეს სუპერთასის ბილეთი აჩუქოს, იკრძალება. შესაბამისად, „ბეკო“ ამ ბილეთებს ვეღარავის აჩუქებს.

◆ ◆ ◆

მართალია, ფეხბურთის ფედერაციას ამ მატჩთან დაკავშირებით მხოლოდ ორგანიზაციური მხარე ევალება (მატჩის ორგანიზება და ჩატარება), მაგრამ ჩვენ მაინც ვთხოვეთ კომენტარი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელს.

— ნებისმიერ კომპანიას, რომელიც არის, ან არ არის, უეფას პარტნიორი, სათამაშო მატჩის ბილეთების გაჩუქების და გათამაშების უფლება ენიჭება უეფასთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, — გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ოთარ გიორგაძემ.

# მცირე და საშუალო ბიზნესი მარკირების წინააღმდეგია

### უალკოჰოლო სასმელების მარკირების ვადა კიდევ ერთხელ გადაიდო




უალკოჰოლო სასმელების სავალდებულო მარკირება, რომელზეც ამდენი ხანია მსჯელობენ, კიდევ ერთხელ გადაიდო.

ამ სახის პროდუქციის მარკირება ქართულ ბაზარზე 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა დაწყებულიყო, თუმცა ეს საკითხი რამდენჯერმე გადაიდო და, სავარაუდოდ, ორი თვით კიდევ გადაიწევს. ეს იმიტომ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებმა პროდუქციის მარკირების ვადის გადაწევის თხოვნით მიმართეს.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტის თანახმად, გაზიანი, მინერალური და მტკნარი წყლების მარკირება 1 სექტემბრიდან სავალდებულო უნდა გამხდარიყო, მაგრამ კომპანიებმა ზაფხულის სეზონისა და მარკირებისთვის საჭირო აპარატურის შეძენისა და განთავსების სირთულის გათვალისწინებით, მარკირების ამოქმედების თარიღის გადაწევა აუცილებლად მიიჩნიეს.

ამის გამო მთავრობამ მარკირება 2015 წლის 1 ნოემბრამდე გადაავადა.

◆ ◆ ◆

პროექტის თანახმად, მარკირებას დაექვემდებარება არაალკოჰოლური სასმელები, მინერალური და მტკნარი წყლები, ენერგეტიკული სასმელები და წვენები.

მეწარმეებს არ მოსწონთ ახალი ტიპის გადასახადის შემოღება და აცხადებენ, რომ ის არამარტო ბიზნესის, არამედ სახელმწიფოს ინტერესებსაც ეწინააღმდეგება.

მარკირების წინააღმდეგია ისეთი მსხვილი კომპანია, როგორიც „კოკა-კოლაა“. ამ კომპანიის წარმომადგენელმა, ვახტანგ ლაღიძემ, მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ აღნიშნულ ცვლილებას პროდუქციის გაძვირება მოჰყვება:

— ეს რისკი არსებობს. 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. ამის გამო უნდა გავაჩეროთ ჩამომსხმელი ხაზები, უნდა დავკარგოთ საკმაოდ დიდი დრო, ენერგია, თანხა. სულ ვამბობთ, რომ 1 თეთრზეა საუბარი, მაგრამ, რეალურად, კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, უკვე 1,3 თეთრია.

განსაკუთრებით აშფოთებთ მოსალოდნელი ცვლილება შედარებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს. როგორც შპს „ქართული წყალი და კომპანიის“ დირექტორმა მერაბ კუბლაშვილმა გვითხრა, ახალი ხარჯების დამატება ყველაზე მეტად დამწყები და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს დააზარალებს.

— ჩვენ ამჟამად საწარმოს მშენებლობის და გაფართოების პროცესში ვართ და დღე-დღეზე ვიწყებთ პროდუქციის გამოშვებას. მარკირებას დამატებითი მანქანა-დანადგარები და ხარჯები დასჭირდება. თუ კიდევ ერთი გადასახადი დაგვემატება, ეს კიდევ უფრო გაგვირთულებს საქმეს, — ამბობს მერაბ კუბლაშვილი.

ნოემბრამდე მცირე დროა, ამიტომაც მერაბ კუბლაშვილი ეჭვობს, რომ ამ ხნის განმავლობაში მარკირებისთვის სათანადოდ ვერ მოემზადებიან.

ორი თვე ბევრი არაფერია. კარგი იქნება, თუ ექვსი თვით მაინც გვადროვებენ და მარკირების შემოღებას მომავალ სეზონამდე გადადებენ. ჩვენ კომპანიის გაფართოებისთვის თანხებს ვეძებთ, ამხელა ინვესტიცია ჩავდეთ, 2012 წლიდან მშენებლობას ვეწევით, ძლივს დავამთავრეთ და ახლა დამატებითი ხარჯის გაწევა ძალიან გაგვიჭირდება, — ასეთია მერაბ კუბლაშვილის პოზიცია.

მარკირებას არ მიესალმება უძველესი ქართული ლიმონათის საწარმო „ლაღიძის წყლები“, რომელიც 1887 წელს დაარსდა. სააქციო საზოგადოება „ლაღიძის“ გენერალურმა დირექტორმა, თორნიკე ლაღიძემ, ბიპიენთან საუბრისას აღნიშნა:

— არა მგონია, ეს სწორი გადაწყვეტილება იყოს. პირადად მე, წინააღმდეგი ვარ მარკირების შემოღებისა. ჩვენი ფირმა თვეში 3.000-5.000 ბოთლზე მეტს არ ასხამს და ამ პირობებში მარკირება რა აუცილებელია? მსხვილ კომპანიებს, რომლებიც დიდი რაოდენობით პროდუქციას უშვებენ, შეიძლება არ გაუჭირდეთ, ჩვენ კი მართლაც გაგვიჭირდება. ან რაში გვჭირდება მარკირება? ჩვენს ნაწარმს ძირითადად რესტორნებში ვაბარებთ, მაღაზიებში არ ვყიდით იმიტომ, რომ მაღაზიაში ბოთლები გვეკარგება, ჩვენი ფირმის ბოთლი კი საკმაოდ ძვირი ჯდება, ამიტომ, აზრი არა აქვს ჩვენთვის მის გაყიდვას, რესტორნები კი, ბოთლებს უკან გვიბრუნებენ და მათთან თანამშრომლობა გვირჩევნია.

კომპანია „ლაღიძის“ დირექტორიც ვარაუდობს, რომ მარკირების შემოღება უალკოჰოლო სასმელების გაძვირებას გამოიწვევს, ბუნებრივია, გაძვირდება „ლაღიძის წყლებიც“.

— რა თქმა უნდა, მარკირება გაძვირებას გამოიწვევს იმიტომ, რომ ამას დამატებითი ხარჯები დასჭირდება. უკვე სამოცი წელია, ამ სფეროში ვმუშაობ და ასეთი რამ არ მახსოვს. ჩემთვის გაუგებარია, რა საჭიროა ყველაფრის ასე გართულება?! — კითხულობს თორნიკე ლაღიძე.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი

# კახეთში მზესუმზირის მცირე მოსავალს ელოდებიან

### 1 კგ მზესუმზირა 1 ლარი ეღირება



წელს კახეთში მზესუმზირას მცირე მოსავალს ელოდებიან. ამის მიზეზად კახელი გლეხები უამინდობას ასახელებენ. ამბობენ, რომ გვალვის გამო, მარცვალი ფუჭდება და ცხიმიანობას კარგავს. — წელს მზესუმზირას კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ჯერჯერობით დამაიმედებელი მდგომარეობა არ არის. გვალვამ მოსავალი თითქმის გაანადგურა. თუ წვიმა არ მოვიდა, მზესუმზირის მოსავალზე ხელს ჩავიქნევთ. მართალია, გაზაფხულზე ნალექი საკმარისი იყო, მაგრამ ზაფხულში წვიმა აუცილებელია, მზესუმზირა რომ მოვიდეს, — აცხადებენ კახელი გლეხები.

გარდა გვალვისა, მზესუმზირას პარტიზანი მცენარე-კელაპტარაც ანადგურებს. ეს მცენარე განსაკუთრებით დედოფლისწყაროსა და სიღნაღშია გავრცელებული. ქიზიყში ამბობენ, რომ ამ სარეველასთან ბრძოლა საკმაოდ რთულია, რის გამოც ნათესის ნაწილი ხმება.

კელაპტარა არის პარაზიტი, რომელიც მცენარის ფესვებზე სახლდება და იწოვს მცენარისთვის საჭირო ნივთიერებასა და საკვებს.

— მრავალი წელია, მზესუმზირა მომყავს, სოფელში ზეთს ვხდი და შემდეგ ვყიდი. ეს ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ბოლო რამდენიმე წელია კელაპტარასთან ბრძოლა მიწევს. ზოგ ადგილას იმდენად არის მოდებული, რომ მასთან ბრძოლა შეუძლებელია, — აცხადებს ვანო ხატიაშვილი.

სარეველა მზესუმზირას თესლიდანვე სპობს. მზესუმზირა 1-1,2 მეტრი უნდა იყოს, თუმცა სადაც კელაპტარა მოედო, მუხლებამდე ძლივს გაიზარდა.

— კელაპტარა შარშან უფრო მოდებული იყო, ზოგის ნაკვეთი ისე გაანადგურა, რომ გადახნეს და მზესუმზირის ნაცვლად სხვა კულტურა მოიყვანეს. ძალიან ძნელია მისი მოსპობა, პრეპარატებით თითქოს დაამუშავებ მიწას, მაგრამ მოსავლის აღებამდე ისევ მოედება, — ამბობს ვანო ხატიაშვილი.

კახეთში ამბობენ, რომ 1 ჰა-ზე საშუალოდ 2 ტონამდე მოსავალი მოდის.

— წელს თუ ნალექი არ მოვიდა, ამ ფართობზე 500 კილოგრამი მოსავლის აღებაც გაგვიჭირდება და ხარჯებსაც კი ვერ დავფარავთ, 1 ჰექტარზე მზესუმზირას მოყვანა 700-800 ლარამდე ჯდება, — ამბობენ კახელი გლეხები.

ისინი ვარაუდობენ, რომ 1კგ მზესუმზირის ფასი წელს დაახლოებით 1 ლარი იქნება.

თიკო გურაშვილი, ბიპიენი

# მაია რჩეულიშვილი ერთკაციან ნომერს 16 დოლარად აქირავებს

### შეთავაზება სახელმწიფოს



მაია რჩეულიშვილი ხელისუფლებას „რჩეულის“ სასტუმროებში ნომრების შეღავათიან ფასად დაქირავებას და შემდგომ მათ სურვილისამებრ გამოყენებას სთავაზობს

როგორც ბიზნესმენი „კომერსანტთან“ აცხადებს, ის მზადაა, ხელისუფლებას ერთკაციანი ნომერი სამჯერადი კვებით დღეში 16 დოლარად მიაქირავოს.

რჩეულიშვილი ამბობს, რომ ამ შეთავაზების გამოყენება ხელისუფლებას საკუთარი სურვილისამებრ შეეძლება ან საჯარო სამსახურში მომუშავეთათვის, ან სოციალურად დაუცველი და შშმ ბავშვებისთვის და ა.შ.

რჩეულიშვილი აცხადებს, რომ ამ შეთავაზების მიზანი გარკვეულწილად მისი ბიზნესის გადარჩენაა, რადგანაც ამ ეტაპზე დატვირთულობა წინა წელთან შედარებით 70%-ით არის შემცირებული.

მაია რჩეულიშვილი ამის მიზეზად ეკონომიკურ კრიზისს ასახელებს. მისი განცხადებით, 70%-იანი დაცემა უკვე გაკოტრებას ნიშნავს.

ბუტიკის ტიპის სასტუმროებს მაია რჩეულიშვილი ბათუმში, სიღნაღში, თელავსა და ქუთაისში ფლობს.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

# საზამთროსა და ნესვის 30 ნიმუში შეამოწმეს



სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა მონიტორინგის ფარგლებში უვნებლობის პარამეტრებზე კვლევის მიზნით, საზამთროსა და ნესვის 30 ნიმუში აიღეს.

ამის შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მისივე ცნობით, ლაბორატორიული კვლევის შედეგად დარღვევა არ გამოვლინდა. კერძოდ, საზამთროსა და ნესვში ნიტრატების ზღვარი დასაშვებ ნორმას არ აღემატებოდა.

ნიმუშების აღება განხორციელდა აგრარული ბაზრებიდან და სუპერმარკეტებიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათ შორის, დედაქალაქსა და კახეთის, აჭარის, იმერეთის, შიდა ქართლის რეგიონებში.

სურსათის ეროვნული სააგენტო განაგრძობს ნიმუშების აღებას და ბაზრის მონიტორინგს, შედეგების შესახებ პერმანენტულად ეცნობება საზოგადოებას.

# ვაზის საუბარი

ვაზის დარგვა პატივია,
მოვლა-ზრუნვა უფრო მეტად.
ჩვენც ამიტომ მეზვრის გარჯა
დავაფასოთ უნდა ერთად.

ვაზებს კი გაამბობინოთ -
როცა უკვე ფესვს გავიდგამ
და კოკოლას ამოვხეთქავ,
ენას მაშინ ამოვიდგამ.

შემწამლე, პაპავ, დროულად,
ჭრაქმა არ მახლოს ხელიო,
გულით თუ გვინდა დაგვიდგეს
ბარაქიანი რთველიო.

რქაწითელი ჯიშით ლაღობს,
შემიდგი გვერდში სარიო,
შემოვეხვევი შვილივით,
ვეღარ გადამტეხს ქარიო.

ვინც დუდუნით კარგადა ცნობს
კურთხეულის მოძრაობას,
ის მაშინვე ამოიცნობს
დალოცვილი ვაზის თხრობას.

გამაფხვიერე, გამმარგლე,
რომ მოვსპო სარევველები,
ფესვს მივცე მეტი სილაღე,
პატრონნს კი სავსე მტევნები.

შემომხედავ და მოგხიბლავ
სარს მოხვეული პწკალითა,
და სიხარულით ამოვთქვამ
გაშლილ ყლორტების რკალითა.

ვაზის ახვევა ძნელია,
თუ ჯიში საფერავია,
სამაგიეროდ, ბიჭებო,
ადვილი საკრეფავია.

გამძლე ვარ დიდი გვალვისა,
ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის
ცხოვრების შინაარსია.

მე თქვენითა ვარ ძლიერი,
თქვენ კი ჯიშების ხილვითა,
და მამულს ვეიმედებით,
განთქმულს ეშხით და ხიბლითა.
განვადიდოთ გლეხი კაცი,
ქართულ მიწას რომ რწყავს ოფლით,
ვინც ამდიდრებს ჩვენს ქვეყანას
გარჯითა და თავის სოფლით.

მევენახე

ყურძნის ნაჟურიც ღვთაებრივია,
ლხინის და ჭირის თანაზიარი,
ურომლისოდაც, ბუნებრივია,
სუფრა ქართული არსად არ არი.

გულსახარია ეს სტრიქონები,
როგორც მეზვრები მოწინავენი,
ზვრებს შემორტყმული თივის ზვინები
და მოქეიფე მომიჯნავენი.

„მრავალჟამიერ“ — შემოძახებაც,
და ანთებული იქ კელაპტარიც,
მეველეს მოსვლის ჟამის გაგებაც,
რომელსაც შვენის თოფიც და ზარიც.



არ მიმათვალოთ პოეტთა რიცხვში,
მე მსურდა მხოლოდ შვებად მექცია,
გლეხისთვის ქმნილი ტანჯვა-ჯახირი
ხვალის ვენახად გადამექცია.

ბევრიც შევქმენი გამოგონება,
ვერ გამოვნახე მოლაპარაკე,
აზრს ჩასწვდომოდა მისი გონება,
მაგრამ?! ვაზი ხომ ვალაპარაკე!

„რა ქართველი ხარ ან რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე,
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს.“

დიახაც, საქართველოს საამაყო შვილის ლადო ასათიანის სიტყვები მაწვალებს მამულზე ფიქრით არა მარტო დღეს, 60 წლისას, არამედ 16 წლიდან, როდესაც შევქმენი პირველი გამოგონება, საავტორო უფლების № 1194316. **და ისიც, რომ ვაზის სამშობლოში, საქართველოში, ვენახები ისევ შუა საუკუნეების მსგავსად ცხენით იხვნება, ვაზი ზურგის აპარატით იწამლება და მევენახეები უმძიმეს ფიზიკურ-მონურ შრომას ეწევიან ვიწრორიგიან ვენახებში.** ფართორიგიანებში კი, სადაც აღნიშნული სამუშაოები მექანიზაციით სრულდება, **იქ კი ათიათასობით ჰა მიწა ცდება,** მცირემიწიან საქართველოში. სწორედ მევენახეობის აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად შევქმენი 58 გამოგონება 37 დაპატენტებული



თქვენს წინაშეა. გასულ საუკუნეში ქუდბედიანი გახლდით, სახელმწიფომ 8-ჯერ დამაჯილდოვა ოქროს მედლებითა და უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით. ქველმოქმედების მადლიც გავიღე, როცა პირველი პრემია 20 000 მანეთი 1986 წელს გადავრიცხე ჩერნობილის დახმარების ფონდში. 32 წლის ასაკში დამსახურებული გამომგონებლის წოდება მომენიჭა. მივიღე მთავრობის ჯილდოებიც. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოვეცი მონოგრაფია „მევენახეობა ახლებურად“. საგამომგონებლო საქმიანობის გააქტიურების მიზნით კი, 2014 წელს, „ვაზი ჩვენი სიამაყე“, **რომლის ლაიტმოტივია მოზარდი და ახალგაზრდა თაობის ჩაბმა საგამომგონებლო საქმეში და სიამაყით გაცხადებ, წარმატებითაც მიმდინარეობს.**

დასანანია, რომ არაფერი კეთდება მევენახეობის ახლებურად მოწყობის პოპულარიზაციისთვის მაღალ-დაბალი ფორმირებების გასაშენებლად (იხილეთ სურათი), იმ მიზნით, რომ ტრაქტორმა დაბალ რიგს



გადააბიჯოს და ერთი გავლით ორი რიგი დაამუშაოს. მაგალითად, მევენახე თუ 3 მეტრ რიგთაშორისებიან ერთ ჰა ვენახის 33 რიგში იღებს 10 ტონა ყურძენს, ამდენივე რაოდენობის მოსავლის მიღება შესაძლებელია იმდენივე 33 რიგში 1,5 მეტრ რიგთაშორისებიან მაღალ-დაბალი ფორმირებებით გაშენებულ ნახევარ ჰა ფართობში, აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მექანიზაციის ხარჯები 50%-ით მცირდება. ეს გამოგონება საშუალებას იძლევა ჩვენს ქვეყანაში 80 000 ჰა მიწის გამოთავისუფლების, რომელიც არის სულ ცოტა 500 000 ტონა მარცვლეულის მიღების რეალური გზა. აღნიშნულ ციფრებს თუ თანხებზე გადავაჯამებთ, ყოველწლიურად მივიღებთ მილიარდი ლარის მოგებას, მაშინ, როდესაც ჩვენი პატარა ქვეყნის ბიუჯეტი 10 მილიარდია. და ამ გამოგონების ავტორი ვერ ახერხებს (დიდი ეკონომიკური ეფექტის გამო მეთოდი საჩუქრად გადავეცი საქართველოს, პატენტი №245) „ვარდების რევოლუციის“ დღიდან დღემდე სოფლის მეურნეობის მინისტრებთან შეხვედრას. (ეს ბატონ დავით კირვალიძეს არ ეხება, რადგან მისი წყალობით განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 20 სექტემბრის 406 ბრძანებულებით 150.000 ლარით ინოვაციის დაფინანსება) მაშინ, როდესაც საკავშირო მინისტრები ბატონები კონარევი და იევლევი არა მარტო მიღებდნენ, არამედ „ვოლგებითაც“ კი მაჯილდოვებდნენ ვაზზე შექმნილი გამოგონებებისთვის. მკითხველო, **სსრკ-ს რკინიგზისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები** რომ ასეთ ყურადღებას გამოიჩენენ გამომგონებლის მიმართ, ხოლო ვაზის ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრები კი არად აგდებდნენ მევენახეობის ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრებს, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი შედეგი იმისა, რომ მევენახეობის კვლევით ინსტიტუტში ბორდელები დაინერგა, რომელიც **2005 წლის ოქტომბერში ტელევიზიით მილიონობით მაყურებელმა იხილა.** გამოგონება რომ ხვალინდელი ვენახია, ამ სიტყვების დასადასტურებლად იხილეთ აშშ-ს მევენახეობის დღევანდელი მიმართულება ტრაქტორის ზემოდან გადაბიჯებით არა მაღალ-დაბალ რიგებში, არამედ ერთი და იგივე სიმაღლის რიგებში, რომელსაც ბევრად სჯობს ჩემი შექმნილი გამოგონება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შეიქმნას უკეთესი აერაცია, მეორეც, შედარებით



დაბალი ტრაქტორით მოხდეს რიგზე ტრაქტორის გადაბიჯება.

უმოქმედობისათვის მოვიყვან ქართველი პოეტის ბატონ ტარიელ ჭანტურიას შთამაგონებლად ნათქვამს:

„ყველაზე მეტი ერთმა ბრმამ იხილა,
იმიტომ, რომ ის ბრმა — ჰომეროსი იყო,
ყველაზე უკეთ ერთმა ყრუმ გაიგონა
იმიტომ, რომ ის ყრუ — ბეთჰოვენი იყო.
ყველაზე შორი გზები ერთმა კოჭლმა გაიარა,
იმიტომ, რომ ის კოჭლი — ბაირონი იყო.
ყველაზე მარჯვედ ერთმა ცალხელამ ჩაგვიკრა,
იმიტომ, რომ ის ცალხელა — სერვანტესი იყო.
ყველაზე ახლობლად ის შორეული გვექცა,
ვინც არასოდეს გვინახავს,
იმიტომ, რომ ის შორეული — რუსთაველი იყო.“

მართალია, ეს ადამიანები გენიოსები იყვნენ და შეუძლებელიც იმიტომ შეძლეს, მაგრამ თანამდებობის პირმა ინტენსიურ და ექსტენსიურ მიმართულებებს შორის განსხვავება ვერ უნდა დაინახონ? მით უმეტეს მინისტრებმა, რომელთა თანამდებობა მარტო უფლებებით კი არ განისაზღვრება, არამედ იგი უფრო მეტად მოვალეობა და დიდი პასუხისმგებლობაა. აშკარაა, გავლენიანი მფარველი თუ არა გყავს, შენი ნაშრომი რაოდენ პროგრესული და ქვეყნისთვის სასარგებლო არ უნდა იყოს, დღის სინათლეს ვერ იხილავს, ამის ნათელი დასტურია წინამდებარე წერილიც, და 2014 წლის 23 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გაჟღერებული ჩემი ინიციატივა, რომ გმირთა მოედანზე გაურკვეველი შინაარსის (სურათზე ნაჩვენებ) სვეტის ადგილას აღმართულიყო აღმაშენებლის



მემორიალი და დაგვედგა ოქროს გვირგვინი, რაზეც მოსახლეობისგან მივიღე არა მარტო უდიდესი მხარდაჭერა, არამედ თანხების გაღების სურვილიც კი, რომელმაც ჯამში მილიონ ლარს გადააჭარბა, რასაც სახელმწიფოს მხოლოდ კეთილი ნება სჭირდება და არა ფინანსები, მაგრამ ამაზე ხმას არ იღებენ.



„ჩაილურის წყალი“ დალია ჩემმა იდეამ, რომ ზოოპარკის ტერიტორიაზე მოეწყოს ეროვნული ისტორიის პანორამა, ჩვენი სახელოვანი გმირული წარსულისა და დიადი ტრადიციების ხილვით, რაც დიდ შემოსავალს მოუტანდა საქართველოს, რადგან მრავალი ქვეყნის დედაქალაქებში მოწყობილ პანორამებს მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს.

**ასევე მიუღებელი აღმოჩნდა სააკაშვილისა და მისი მთავრობისთვისაც სოფლად სამარადისოდ სიღარიბისა და უმუშევრობის დამარცხების ჩემეული ხედვა, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მოსვლისთანავე შევთავაზე, სოფლის მეურნეობის ფორსირებულად განვითარებისთვის გაცემულიყო დაბალპროცენტიანი სესხები 5000-დან 50 000 ლარამდე, გლეხების უფრო მეტად ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით კი განეხორციელებინათ სესხის ნატურით დაფარვის გადასახადი მხოლოდ და მხოლოდ გლეხებზე, მაგალითად, გლეხი, რომელიც აწარმოებს ისეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომელსაც უხვად მოიხმარს ჯარი და მსგავსი სახელმწიფოს ხარჯზე მყოფი სტრუქტურა, მათთვის პროდუქტის მიწოდება განხორციელებულიყო კომლური ოჯახებიდან, რომლებსაც აღებული სესხი გაექვითებოდათ ეტაპობრივად პროდუქციის მიწოდებისთანავე. მაშინ, როდესაც მისი მოღვაწეობის პერიოდში უაზროდ გადაიყარა 8 მილიარდი. ქუთაისის პარლამენტის აშენებაში, ავლაბრის რეზიდენციაში, მისთვის მასაჟისტის ჩამოყვანაში, მტკვარზე შუშის ხიდში, მრავალსართულიანი სახლების აივნებზე „ვენოკების“ ჩამოკიდებაში, და საყოველთაოდ ცნობილ მრავალ ფუჭ საქმეში. არადა ეს გადაყრილი თანხა გლეხური მეურნეობის აღორძინებას რომ მოხმარებოდა, მკითხველმა განსაჯოს, იქნებოდა თუ არა დღეს სოფლად დამარცხებული სიღატაკე და უმუშევრობა?!**

დამოუკიდებელ საქართველოში ახლებურად აზროვნება რომ იბლოკება ამაზე ვწერდი ჯერ კიდევ 2009 წლის 14 დეკემბრის გაზეთ „ქრონიკაში“ მამული აყვავდება მაშინ, **როცა ეკონომიკის არგანვითარების** სამინისტრო გარდაიქმნება ეკონომიკის განვითარების სამინისტროდ, **რომელიც რამოდენიმე თვეში მართლაც გარდაიქმნა მდგრადი განვითარების სამინისტროდ, მაგრამ არა საქმით, არამედ სიტყვით.** რის დასადასტურებლადაც ნებისმიერ მევენახეს ნებისმიერ სოფელში მივაწვდი (**599-10-43-18**) ნიმუშებს, თუ როგორ შეიძლება ათასობით მევენახეშ შრომა შეიმსუბუქოს, რომელ სიახლესაც ნაციონალები ბლოკავდნენ მხოლოდ იმიტომ (არ გაგიკვირდეთ), რომ გამოგონება ოქროს მედლითა აღნიშნული.

ბევრი შევქმენი გამოგონება,
ვერ გამოვნახე მოლაპარაკე,
აზრს ჩასწვდომოდა მისი გონება,
მაგრამ?! ვაზი ხომ ვალაპარაკე.

საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი
**თამაზ ქვლივიძე**

# 25 გარდაცვლილი და 22 დაშავებული — ძლიერი ხანძარი ეგვიპტეში

ეგვიპტის ქალაქ ელ-უბურში ავეჯის ქარხანაში გაჩენილ ხანძარს 25 ადამიანი ემსხვერპლა.

დაშავებულია 22 ადამიანი, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებაში არიან გადაყვანილი.

ხანძარი, სავარაუდოდ, ბუნებ-



რივი აირის ავზის აფეთქებამ გამოიწვია. ცეცხლი 20-ზე მეტ სატვირთო ავტომობილს მალევე მოედო. გავრცელებული ცნობით, ქარხანას უსაფრთხოების სახელმწიფო სერტიფიკატი არ ჰქონდა აღებული. მსგავსი შემთხვევები ეგვიპტეში ხშირია.

ამასთან, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ ალექსანდრიაში კი, სასურსათო მაღაზიაში გაჩენილი ხანძრის შედეგად 10-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.

# თალიბების ლიდერი მოლა მუჰამედ ომარი გარდაიცვალა



ავღანეთში თალიბების ლიდერი, მოლა მუჰამედ ომარი გარდაიცვალა. ამის შესახებ „ბიბისის" ცნობით, ავღანეთის მთავრობის წარმომადგენლები იტყობინებიან.

თუმცა, თავად თალიბებს ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებიათ. „თალიბანის" პრესსამსახური იტყობინება, რომ განცხადებას ისინი უახლოეს მომავალში გააკეთებენ.

მოლა ომარის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ადრეც არაერთხელ გავრცელებულა. ყველა ინფორმაცია თალიბებმა უარყვეს. იგი „თალიბანს" 1996 წლიდან უდგას სათავეში.

ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მოლა მუჰამედ ომარი მიესალმა „თალიბანსა" და ავღანეთის ხელისუფლებას შორის დაწყებულ მოლაპარაკებებს, რომელიც პაკისტანის პატრონაჟით მიმდინარეობდა.

მუჰამედ ომარი იყო ლიდერი, რომლის მეშვეობითაც, სსრკ-ს ჯარების გასვლის შემდეგ, თალიბებმა სხვა ავღანურ დაჯგუფებებზე გამარჯვება მოიპოვეს. ომარი მჭიდრო კავშირში იყო ოსამა ბენ ლადენთან. სწორედ ამ მიზეზით შეიჭრა აშშ-ს არმია ავღანეთში 9 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. ომარმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო აშშ-მ მასზე 10 მილიონდოლარიანი ჯილდო დააწესა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცარია და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ერდოღანი: ქურთებთან საუბარი შეუძლებელია

ქურთებთან მოლაპარაკების წარმოება შეუძლებელია. ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა. ვითარება თურქეთის ჩრდილოეთში მას შემდეგ გამწვავდა, რაც ქურთების თავდასხმას 2 თურქი სამხედრო ემსხვერპლა. პასუხად თურქულმა ავიაციამ ქურთების საწვრთნელი ბაზა დაბომბა.

ევროკავშირმა და ნატომ ანკარას ქურთებთან კონფლიქტის განახლებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს.



თურქეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, ბრიუსელში „ნატო-ს" საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართა. სირიის საზღვართან სისხლიანი ტერაქტის შემდეგ, თურქეთმა „ნატო-ს" ხელშეკრულების მე-4 მუხლით ისარგებლა, რომელიც რომელიმე წევრისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, კონსულტაციების გამართვას ითვალისწინებს.

ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თურქეთს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ის თურქეთის მიერ „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყებას მიესალმა.

— დღევანდელმა შეხვედრამ თურქეთის მიმართ ჩვენი ძლიერი სოლიდარობა აჩვენა. ჩვენ გავაგრძელებთ ნატო-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვებას. თურქეთს ნატო-სთვის რაიმე დამატებითი სამხედრო დახმარება არ მოუთხოვია. მივესალმებით თურქეთის გაზრდილ ძალისხმევას ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში. თურქეთი ასევე თავის ტერიტორიაზე ამზადებს სირიის ზომიერ ძალებს და საკუთარ ტერიტორიაზე ყველაზე მეტი დევნილი მიიღო, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

„ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლის პარალელურად, თურქეთში ქურთისტანის მუშათა პარტიის აქტივისტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები განახლდა. ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა დაადასტურა, რომ ანკარა ქურთ მებრძოლებთან სამშვიდობო შეთანხმებას წყვეტს, ვინაიდან ქურთებმა თურქ ძალოვნებზე თავდასხმები განაახლეს.

ჩრდილოეთ სირიაში „უსაფრთხოების ზონის" შექმნა, რომელსაც ანკარა და ვაშინგტონი ცდილობს, ქურთების მიერ საკუთარი ტერიტორიის კონტროლის წინააღმდეგაა მიმართული, — ამის შესახებ „ბიბისის" ცნობით, ქურთების მხარდამჭერი „დემოკრატიული სახალხო პარტიის" ლიდერმა, სელაჰათთინ დემირთაშმა განაცხადა.

კვირის დასაწყისში აშშ-ში განაცხადეს, რომ ისინი დათანხმდნენ თურქეთის წინადადებას ჩრდილოეთ სირიაში ბუფერული ზონის შექმნის შესახებ. აღნიშნულ ინიციატივას ქურთები ეწინააღმდეგებიან.

თურქეთის სამხრეთ სასაზღვრო რეგიონში ბოლო ერთი კვირაა ვითარება დაძაბულია. ანკარამ სირიაში „ისლამური სახელმწიფოს" და ქურთი ამბოხებულების პოზიციები დაბომბა. სელაჰათთინ დემირთაშის თქმით, თურქეთის ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ, სინამდვილეში ქურთების წინააღმდეგ ბრძოლაა.

# ჟერარ დეპარდიეს უკრაინაში შესვლა აუკრძალეს

კიევმა ჟერარ დეპარდიე „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადა. ფრანგ მსახიობს უკრაინის უშიშროების სამსახურმა ქვეყანაში შესვლა 5 წლით აუკრძალა. ამის



მიზეზი დეპარდიეს მიერ გაკეთებული ანტიუკრაინული განცხადებები გახდა.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის პრესსპიკერის, ელენა ჰიტლიანსკას განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება კულტურის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე მიიღეს.

საფრანგეთიდან მაღალი გადასახადების გამო გაქცეულმა მსახიობმა 2013 წელს რუსეთის მოქალაქეობა კრემლის ლიდერისგან მიიღო. მას შემდეგ ის პუტინის მიმართ სიმპათიას ვერ მალავს და აცხადებს, რომ უკრაინა რუსეთის ნაწილია.

უკრაინის კულტურის სამინისტრომ არაერთ მსახიობს, მუსიკოსსა და კულტურის სფეროს წარმომადგენელს აუკრძალა ქვეყანაში შესვლა, რომლებმაც 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას მხარი დაუჭირეს.

66 წლის ჟერარ დეპარდიე რუსეთს აქტიურად უჭერს მხარს და „უდიდეს დემოკრატიულ ქვეყანას" უწოდებს. 2013 წელს მან პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისგან რუსული პასპორტიც მიიღო მას შემდეგ, რაც მსახიობმა საფრანგეთი მაღალი გადასახადების გამო დატოვა.

გასულ კვირას კი, დეპარდიეს ბელორუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ საკუთარ რეზიდენციაში უმასპინძლა.

ალექსანდრ ლუკაშენკომ დეპარდიეს უახლესი ბელარუსული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა დაათვალიერებინა, შემდეგ შეშის ჩეხვაში გაავარჯიშა, ბოლოს კი მინდორში გაიყვანა და თიბვა ასწავლა. ლუკაშენკომ და დეპარდიემ ძალები ახალ ამპლუაშიც მოსინჯეს. მათ ტრაქტორით მოსავლის აღებაშიც მიიღეს მონაწილეობა.

# ყირიმში იტალიელი დეპუტატები ჩავლენ

ფრანგი კანონმდებლების კვალდაკვალ, ყირიმში ჩასვლას იტალიელი დეპუტატებიც გეგმავენ. ანექსირებულ ნახევარკუნძულზე ვიზიტის ერთ-ერთი ინიციატორი მოძრაობა „5 ვარსკვლავის" ლიდერი მანლიო დი სტეფანოა. დელეგაციის შემადგენლობაში სავარაუდოდ 7-8 დეპუტატი იქნება. ვიზიტორთა ჯგუფს საგარეო საქმეთა კომიტეტის მდივანი ალესანდრო დი ბატისტა უხელმძღვანელებს.

მანამდე ყირიმს ფრანგი რესპუბლიკელების დელეგაცია სტუმრობდა, რასაც კიევის პროტესტი მოჰყვა.

სამხედრო მოქმედებების დაწყებიდან დღემდე უკრაინაში 7 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, დაშავებულთა რაოდენობა კი 17 ათასს აჭარბებს. საგანგაშო სტატისტიკას გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია აქვეყნებს.

გაეროს უმაღლესი



კომისრის, სესილ პუის განცხადებით, მონაცემები არასრულია და მსხვერპლი შესაძლოა გაცილებით დიდი იყოს. შეიარაღებული კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში გასული წლის აპრილში დაიწყო და პირობითი ზავის მიუხედავად, დღესაც გრძელდება.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● „ალკოჰოლიზმი", „პახმელია", „ზაპოი", ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შე-გიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● სიახლე!!! 3-კომპონენტიანი კუპაჟი — გასახდომი ყავა!!! ანტიდიაბეტური ეფექტით! 750 მლ-იან ქილაში, 40-45 დღის — 15 ლარი. მის: თამარ მეფის 27. ტელ: 558-59-59-82.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრებებით: „პლანტა"-ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც), „პლანტა-გლანდა"-ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა. „პლანტა"-კისტა, ფიბრომა, მომატებული პროლაქტინი... კენჭოვანი დაავადებები, პროსტატიტი, ადენომა, კოლიტი, შაკიკი. ტელ: 259-59-82, 558-59-59-82. ენვერი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1 კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533, ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ქართველმა კალათბურთელმა ქალებმა 23:100 წააგეს

## ხარვეზებიანი ოლიმპიური ფესტივალის მეორე დღე



სანამ ევროპის მე-13 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მეორე საშეჯიბრო დღეზე მოგითხრობდეთ, გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ორგანიზება ძალიან ცუდია.

თბილისი 2015-ის ორგანიზატორებმა მასმედიისთვის ადგილები ალაგ-ალაგ გამოყვეს, თუმცა მუშაობისთვის შესაფერისი ნამდვილად არ არის. მეტიც, მაყურებლებს შორის უნდა დაჯდე, პირადი კომპიუტერი მუხლებზე დაიდო და მანამ იმუშაო, ვიდრე ელემენტი გაძლებს, რადგან დენის წყარო არსად არის. აღარაფერს ვამბობთ ინტერნეტის მოწოდებაზე, რომელიც სამუშაო პირობებისთვის აუცილებელია. თუმცა, ინტერნეტიც რომ იყოს, ხარვეზებით მუშაობს ვებგვერდიც, სადაც შესაძლებელი იქნება პარალელური მატჩებისა თუ სპორტული შეჯიბრებების შედეგების ნახვა.

თუ პირველ დღეს სპორტის სასახლეში ტაბლო გაითიშა, მეორე დღეს ძიუდოს შეჯიბრებისას ორჯერ წავიდა ელექტროენერგია და დარბაზი უშუქოდ დარჩა. მართალია, მცირე ხნით, მაგრამ...

ჰო, ძიუდოს შეჯიბრებაზე დასწრება სუპერთასის ბილეთებს დაემსგავსა — დარბაზში წინა საღამოს უნდა შეხვიდე, თორემ შეჯიბრებისას იმდენი ხალხია, რომ დაცვის თანამშრომლები მაყურებლებს არ უშვებენ — ადგილები აღარ არისო. ასე დარჩნენ გარეთ უცხოელი ქომაგები, რომლებიც საკუთარი შვილის საგულშემატკივროდ იყვნენ ჩამოსულნი.

ცალკე თემაა დაცვის თანამშრომლები. ვითომდა წესრიგის დაცვით, ხელბურთის დარბაზში მაყურებელთა შესასვლელიდან არ შეგვიშვეს, ჟურნალისტის ბეიჯი გიკეთია და შენი შესასვლელი სხვა მხრიდან არისო და ერთკილომეტრიანი წრის დასარტყმელად გაგვიშვეს. მაგრამ ჩვენც გვაქვს ჭკუა — მოიხსენი ბეიჯი, რაც დიდი საწვალებელი ნამდვილად არ არის და შედი დარბაზში — არავინ არაფერს გეტყვის.

დარბაზში კი ჟურნალისტების ადგილს რომ ვერ მივაგენით, ისევ რიგით მაყურებლებში ვამჯობინეთ დაჯდომა, მაგრამ დაცვამ ერთ სექტორში შესვლა აგვიკრძალა, კითხვაზე, რატომ? პასუხი მარტივი აქვთ — არ შეიძლება... მიზეზი კი მხოლოდ მეოთხეჯერ შეკითხვის შემდეგ გვითხრეს — გუნდებისთვის გამოყოფილი სექტორიაო. ამ შემთხვევაში დაცვა მართალია — იქ დაჯდომა არ შეიძლება, მაგრამ ეს შეიძლება გაცილებით ზრდილობიანად და ზუსტი ახსნით გააკეთონ.

ფრენბურთელთა მატჩების საყურებლად ავტომობილებით მისულ გულშემატკივრებს, დარბაზის სიახლოვეს პარკირება არ შეუძლიათ და ძალიან შორიდან უხდებათ ფეხით სიარული. ალბათ უპრიანი იქნებოდა, ეს ყველაფერი დაგეგმარების დროს გაეთვალათ.

ახლა შედეგებზე: საქართველოს ნაკრებმა პირველი მედლები მოიპოვა — ძიუდოისტები ზურაბ კახნიაშვილი და თემურ ნოზაძე მესამე ადგილზე გავიდნენ.

ძიუდოისტებისგან ქართველი გულშემატკივრები ყოველთვის ოქროს მედლებს ელიან. ზურაბ კახნიაშვილი და თემურ ნოზაძეც ჩემპიონობის კანდიდატებად ითვლებოდნენ, თუმცა მათი პირველი შეხვედრების შემდეგ ქომაგებს ოქრო კი არა, ბრინჯაოც სანატრელი ჰქონდათ — ორივე სტარტზევე დამარცხდა. საბედნიეროდ, შემდეგ ბიჭებმა უკეთ იჭიდავეს და მესამე ადგილზე გავიდნენ.

50კგ წონით კატეგორიაში ზურაბ კახნიაშვილის ნაცვლად ევროპის ვიცე-ჩემპიონ გიორგი ნიაზაშვილს უნდა ეჭიდავა, თუმცა რამდენიმე დღის წინ მან ვარჯიშისას თითი მოიტეხა და კახნიაშვილს ამიტომაც უხმეს.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის შეგულებულ ზურაბს პირველ წრეში რუმინელ ვლად ლუნკანთან მოეცარა ხელი, მაგრამ მომდევნო ორთაბრძოლები ვაზარით მოიგო — ბერძენ იოანის აგკციდისს, ჰოლანდიელ სტევენ კილმანს და ჩეს დავით ვოპატს ზედიზედ აჯობა.

კახნიაშვილის მძლეველი ლუნკანი საბოლოოდ მედლის გარეშე დარჩა, თბილისი 2015-ის ჩემპიონის ტიტული კი იტალიელმა ბიაჯიო დანჯელომ მოიპოვა, რომელმაც ფინალში შვეიცარიელი პოლ რონჩი დაამარცხა.

55კგ წონაში საქართველოს ღირსებას თემურ ნოზაძე იცავდა. თანაგუნდელის მსგავსად, პირველი ორთაბრძოლა მანაც წააგო — მომავალ ჩემპიონთან, მოლდოველ იონ მიხაილოვთან. დამამშვიდებელ წრეში გადანაცვლებულმა ნოზაძემ ჯერ უკრაინელ კირილ სამოტუგს აჯობა — იპონზე დააგდო, ბრინჯაოს მედლისთვის კი თურქ უგურქან ზეპირს სძლია.

თემურმა მედალი შეხვედრის დასრულებამდე 8 წამით ადრე გაინაღდა, როცა ზეპირი ბრუნით ვაზარზე დააგდო. ამ წონის ჩემპიონი უკვე გახსენეთ — იონ მიხაილოვმა ფინალში აზერბაიჯანელ კარამატ ჰუსეინოვს სძლია.

წარმატებულ ასპარეზობას აგრძელებს ქართველ ჩოგბურთელთა კვარტეტი — მზიურის კორტებზე მეორე წრეში ოთხივე მათგანმა გაიმარჯვა და მერვედფინალში გავიდა.

ნიკოლოზ დავლიანიძემ, რომელიც ოლიმპიურ ფესტივალზე მე-5 ნომრადაა განთესილი, გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელ მარტინ ემილ ჰუდს სძლია — 6:4, 5:7, 7:5, დავით ჭელიძემ კი ლატვიელი დანიილს ბატმანოვსი დაამარცხა — 7:5, 3:1. მეორე სეტში ბალტიისპირელი დაშავდა და კორტი ნაადრევად დატოვა. მერვედფინალში დავლიანიძის მეტოქე ბელარუსი ანჟეი ლასკა იქნება, ჭელიძე კი რუმინელ სტეფან პალოს დაუპირისპირდება.

გოგონათა შორის ანა შანიძემ ბერძენ ნიკოლოპულოსს აჯობა: 2:6, 6:4, 6:4, ანა მაქაცარიამ კი ბულგარელ გერგენა ტოპალოვას სძლია — 6:1, 2:6, 6:4.

შანიძის მომდევნო მეტოქე ჩეხი ლუსი კანკოვაა, მაქაცარიას კი ლატვიელ დანიელა ვისმანესთან პაექრობა ელის. ცნობისათვის: კანკოვა ოლიმპიური ფესტივალის პირველ ნომრადაა განთესილი, ვისმანე კი მეორეა.

გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლეში კვლავ სანახაობრივი თამაში აჩვენა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა, თუმცა სასტარტო შეხვედრისგან განსხვავებით, ბიჭები ამჯერად დამარცხდნენ — ბოსნია-ჰერცეგოვინის გუნდმა 81:74 გაიმარჯვა.

თურქებთან მატჩის მსგავსად, საქართველოს ნაკრებმა მეორე მეოთხედი ჩააგდო, თუმცა პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, ამჯერად ბიჭებმა გამარჯვება ვეღარ მოახერხეს. კვლავ ორმაგი დუბლი მიითვალა გიგა ბითაძემ — 21 ქულას 14 მოხსნა, 4 დაფარება და 5 პასი დაუმატა, თუმცა მისი მონაგარი ბოსნიელთა მე-13 ნომერმა მუსამ გადაფარა — 30 ქულა, 11 მოხსნა, 7 შპასი, 3 ჩაჭრა, 4 დაფარება.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდი ჯგუფის უკანასკნელ მატჩში ლატვიას დაუპირისპირდება. გამარჯვებული ნახევარფინალში გავა. ბალტიისპირელებმა, რომლებიც საწყის მატჩში ბოსნიელებთან დამარცხდნენ, თურქებს 84:42 აჯობეს.

რაც შეეხებათ ქალ კალათბურთელებს, მათ თამაშს ვერ ვუწოდებთ — ჩვენები ჩეხებთან დამარცხდნენ. ანგარიშს არ იკითხავთ? 23:100.

ვაჟი კალათბურთელებისგან განსხვავებით, რომლებიც ნახევარფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებენ, ხელბურთელებმა და ფრენბურთელებმა მედლებისთვის ბრძოლა უკვე დაამთავრეს. ხელბურთელი გოგონები რუსეთთან 16:34 დამარცხდნენ, ვაჟებს კი ფრანგებმა აჯობეს — 30:46.

რაც შეეხებათ ფრენბურთელებს, ვაჟებმა და გოგონებმა ერთნაირი ანგარიშით 0:3 წააგეს ბულგარეთთან და იტალიასთან. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჩვენი ფრენბურთელი გოგონების მონდომება, რომლებმაც სამივე სეტში ბოლომდე იბრძოლეს — 15:25, 19:25, 18:25. ბიჭებმა კი უშანსოდ წააგეს.

ტანვარჯიშის დარბაზში სპორტულ ტანვარჯიშში ვაჟთა გუნდებმა იასპარეზეს. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფოს გუნდი გავიდა, მეორეზე იტალია, მესამე კი რუსეთი იყო. საქართველოს ნაკრებმა (საბა აბესაძე, დიმიტრი გოვოროვი, იოანე ჯიმშელეიშვილი) 152,1 ქულით მე-14 ადგილზე დაიკავა. აქვე დავძენთ, რომ დიმიტრი გოვოროვი, რომელმაც მრავალჭიდში 77.050 ქულა მოაგროვა, ფინალში იასპარეზებს.

მძლეოსანთა შორის მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა, თუმცა განსაკუთრებით თვალსასეირო 100 მეტრზე გოგონათა და ვაჟთა შორის ფინალური გარბენები გამოდგა. გოგონებში ირლანდიელმა კიარა ნევილმა იპირველა — 12.01 წამი, მეორე პოლონელი კლაუდია ნატალია ადამეკი იყო (12.16), მესამეზე კი ნორვეგიელი ინგვილდ მეინსეტი გავიდა (12.17).

ვაჟებში აშკარა ფავორიტმა, შვედმა როჯერ ჰენრიკ ლარსონმა გაიმარჯვა, რომელიც საკვალიფიკაციოშიც ძალიან შთამბეჭდავად დარბოდა. მან ოქროს მედალი სეზონის საუკეთესო შედეგით (10.72) მოიგო. მეორე ადგილზე კიდევ ერთი სკანდინავიელი, ფინელი ლაური ტუომილეჰტო გავიდა, რომელიც შვედს 0.1 მეასედით ჩამორჩა, ესპანელი პოლ ავილა რეტამალი კი (10.92) მესამე იყო.

თბილისი 2015-ის პირველმა ოქროსმედალოსანმა, მოლდოველმა მოცურავემ ალექსეი სანცოვმა მეორედ იზეიმა ჩემპიონობა — თავისუფალი ყაიდით 400 მეტრზე გაიმარჯვა. 3:53.42 წუთი — ასეთი იყო მისი შედეგი. ესპანელი ველის სარკასტრო, რომელიც საუკეთესო იყო საკვალიფიკაციოში, მეორე ადგილზე გავიდა, უნგრელი რიჩარდ მარტონი კი მესამე გახლდათ.

ორი საშეჯიბრო დღის შემდეგ მედლების რაოდენობით რუსეთის გუნდი ლიდერობს — 4 ოქრო, ამდენივე ვერცხლი და 1 ბრინჯაო. მეორე ადგილზე იტალიაა — 4-1-3, ალექსეი სანცოვის ორი ოქროს მედლით „გამდიდრებული“ მოლდოვა კი მესამეა — 3 ოქრო და 3 ბრინჯაო.

## შოთა არველაძემ ტრაბზონი დატოვა



ახლახან თურქულ „ტრაბზონსფორში“ დანიშნული შოთა არველაძე მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა. ამ ინფორმაციას იქაური მედია ავრცელებს.

თუ ჩვენი მეზობლების ცნობებს დავეყრდნობით, კლუბში სიტუაცია, ეტყობა, ძალიან აირია.

უკითხავად და დემონსტრაციულად დატოვა გუნდი „ტრაბზონის“ კაპიტანმა და მეკარემ ონურ კივრაკიმ. მიზეზი უცნობია, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს შესაძლოა, გუნდში ქართველი გიორგი ლორიას ტრანსფერთან იყოს დაკავშირებული.

კივრაკის გარდა, თანამდებობიდან გადადგა სპორტული დირექტორი სულეიმან ჰური. ყოველ შემთხვევაში, თურქული მედია ამ ინფორმაციას დარწმუნებით წერს და არველაძის კომენტარს იშველიებს, სადაც ქართველი ამბობს, რომ ის გუნდში ვეღარ დარჩება, რადგან ჰურმამ მიმიყვანაო.

ასევე წერენ, რომ არველაძე თანამდებობაზე დროებით იქნება და გუნდს „რაბოტნიჩკისთან“ მატჩამდე არ მიატოვებს.

ევროპალიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში მაკედონიურ „რაბოტნიჩკის“ „ტრაბზონი“ სტუმრად 30 ივლისს ეთამაშება.

## ალექსი შევჩენკო საქართველოში წონას იმატებს

გორის „დილამ“ ახალი სეზონისთვის ალექსი შევჩენკო კიევის „დინამოდან“ არენდით აიყვანა და არც შემცდარა, რადგან უკრაინელმა მეკარემ ჩემპიონთა ლიგაზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ახალგაზრდა მეკარე 1992 წლის 24 თებერვალს უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკში დაიბადა. ის ჯერ მხოლოდ 23 წლისაა, თუმცა გორის „დილაში“ უკვე მოახერხა ორი სერიოზული მატჩის სრულფასოვნად ჩატარება.

შევჩენკოსთვის საქართველოს ჩემპიონატი უცხო არ არის — გასულ სეზონში უკრაინელი მეკარე ქუთაისის „ტორპედოსთვის“ ირჯებოდა.

***— სად და როგორ დაიწყეთ საფეხბურთო კარიერა?***

— საფეხბურთო კარიერა ქალაქ დნიპროპეტროვსკში ს.კ. ინტერში დავიწყე. 15 წლის ასაკში ზაპოროჟიას „მეტალურგთან“ გავაფორმე კონტრაქტი, ჯერ მეორე გუნდში გამოვდიოდი შემდეგ კი პირველ გუნდშიც დავიწყე თამაში. ამის შემდეგ უკვე კიევის „დინამოში“ მოვხვდი, საიდანაც ქუთაისის „ტორპედოში“ გადავედი, ბოლოს კი თქვენთან, გორის „დილაში“ წამოვედი სათამაშოდ.

***— რატომ გადაწყვიტეთ უკრაინის ჩემპიონატიდან საქართველოში გადმოსვლა?***

— ჯერ ისევ კიევის „დინამოს“ ვეკუთვნი, მაგრამ იქ საკმაოდ მრავლად იყვნენ მეკარეები და სათამაშო პრაქტიკა ნაკლებად მქონდა. შემდეგ ქუთაისის „ტორპედომ“ შემომთავაზა კონტრაქტი და როგორც ამბობენ, იქ ცუდად არ მითამაშია. ალბათ ამიტომაც გორის „დილა“ დაინტერესდა ჩემით და არენდით ამიყვანა.

***— რას ფიქრობთ ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობებსა და სათამაშო სტილზე?***

— გახსნილ შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. თამაშს არ კეტავენ და ტექნიკური სტილის ფეხბურთელები თამაშობენ. პოტენციალი არის მოთამაშეებში და მთავარია, სწორად განვითარდნენ.

***— გვერდს ვერ ავუვლით ბელგრადის „პარტიზანთან“ გამართულ ორრაუნდიან დაპირისპირებას, აქამდე თუ გქონიათ მსგავსი მასშტაბის მატჩში მონაწილეობის გამოცდილება?***

— მე არ მქონია იმის შესაძლებლობა, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიმეღო მონაწილეობა. ეს ყველაზე პრესტიჟული ტურნირია. ძალიან დიდი ემოციები მივიღე და ძალიან მომეწონა ეს შეგრძნება. სწორედ ამიტომ ღირს ფეხბურთის თამაში. სამწუხაროდ, გორში ძალიან ცხელოდა და ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ამან შეგვიშალა ხელი თამაშის სწორად წარმართვაში.

***— როგორ შეაფასებდით „დილა“ — „პარტიზანს“ შორის გამართულ შეხვედრებს?***

— პირველ რიგში, ასეთი დონის თამაშიდან ყველამ დიდი გამოცდილება მივიღეთ. ისეთი გუნდის წინააღმდეგ თამაში, როგორიც „პარტიზანია“, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებაა. თუმცა შედეგი, რაც დაფიქსირდა, რა თქმა უნდა, მისაღები არ იყო. ვფიქრობ, საჭირო გამოცდილება მივიღეთ და მომავალში ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

***— როგორი ატმოსფეროა „დილაში“ და როგორ მიდის შენი გუნდთან ადაპტაციის პერიოდი?***

— შეკრების პირველივე დღეებში ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ადაპტაცია სწრაფად გამევლო. ირაკლი მოდებაძესთან და დათო კვირკველიასთან ერთად ზაპოროჟიაშიც ვთამაშობდი და ისინიც ძალიან დამეხმარნენ. საერთო ენა სწრაფად გამოვნახე და ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა ჩამოვაყალიბე.

***— „დილასთან“ ერთად რა გეგმები გაქვთ?***

— რა თქმა უნდა, მინდა საქართველოს ჩემპიონი გავხდე და შემდეგ ჩემპიონთა ლიგაზეც წარმატებით ვიასპარეზო.

***— რას ფიქრობთ ახალგაზრდა მწვრთნელის უჩა სოსიაშვილის შესახებ?***

— ძალიან კარგი მწვრთნელია, ფეხბურთელებიც ძალიან აფასებენ. ახალგაზრდა იმედის მომცემი ტრენერია და გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება დიდ წარმატებებსაც მიაღწიოს. მე მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ.

***— თქვენ უკვე იცნობთ საქართველოს ჩემპიონატს: რა პრობლემებს ხედავთ ჩემპიონატში და რის გამოსწორებას ისურვებდით?***

— ამ თემასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, რადგან მეც ვუშვებ შეცდომებს და ეს პრობლემები ჩემი გამოსასწორებელია. მე ჩემ თავზე მაქვს სამუშაო და ამიტომ ყველამ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ.

***— მომავალში გორის „დილასთან“ ერთად რას გეგმავთ?***

— არ ვიცი, რა მოხდება, რადგან ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჩემი კონტრაქტი კიევის „დინამოსთან“ არის დაკავშირებული და როგორც ისინი გადაწყვეტენ, ისე იქნება.

***— საქართველოს შესახებ რას გვეტყვით. როგორ მოგწონთ ქვეყანა და რითი მოიხიბლეთ ყველაზე მეტად.***

— რა პერიოდიც აქ ვიმყოფები, უკვე ძალიან ბევრი რამით მოვიხიბლე, ამიტომ მიჭირს რამის გამორჩევა. ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. საჭმელიც უბრალოდ ძალიან გემრიელია და როცა ქუთაისში ჩავედი, მაშინვე წონაში მოვიმატე, ისე მომეწონა თქვენი სამზარეულო. ალბათ, კიდევ ბევრ რამეს აღმოვაჩენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## შედეგები

28 ივლისი

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ცსკა-სპარტა | 2:2 |
| მიდტიულანდი-აპოელი | 1:2 |
| მილსამი-შკენდერბიუ | 0:2 |
| მაკაბი(თ-ა)-პლზენი | 1:2 |
| პანათინაიკოსი-ბრიუგე | 2:1 |
| ფენერბახჩე-შახტარი | 0:0 |
| იანგ ბოიზი-მონაკო | 1:3 |
| ვიდეოტონი-ბატე | 1:1 |
| დინამო(ზ)-მიოლდე | 1:1 |

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

599-90-54-78, 234-02-38

# ეკა კვალიაშვილს ავადმყოფობამ შეუტია



მომღერალ ეკა კვალიაშვილს ავადმყოფობამ შეუტია. მომღერალი ინფორმაციას თავად ავრცელებს და ამბობს, რომ ახლა ძალიან ცუდად არის.

**ეკა კვალიაშვილი:**

— აშკარად გაიღვიძეს ჩემმა ანთებებმა... რა საზიზღარია, რა ცუდია და რომ ვერ ახსნი რა გაწუხებს, ისეთი ბანძი და დედა აფეთქებული შეგრძნებაა. თითქოს მტეხავს მთელ სხეულში, თავი, ყურები მიგუბდება, თავისით მეტირება, ჩასუნთქვისას. რაღაც აუხსნელი შეგრძნება მაქვს, ბანძი, დავიღალე. ეს დამპალი ავადმყოფობა, ორ წელიწადში ერთხელ იღვიძებს, და არავინ არ იცის, როდის ჩაეთრევა, თვალები მტკივა. ამჯერად, თვალებზე მაწვება და ვერ ვცნობ ჩემს თვალებს. ცუდად ვხედავ და ძალიან დასიებული მაქვს, მაგრამ, ეკამ იცის მაკიაჟის გაკეთება, ბაბუა მხატვარი მყავდა, ვიცი, ჩრდილები როგორ დავსვა, მაგრამ მაინც ვერ ვფარავ და ამიტომ, არ მინდა, რომ ხალხმა დამინახოს, როდესაც ცუდად ვარ. გამოვკეთდები, ღმერთის წყალობით და ეგრევე მაგარ ტუსოვკას ავაგდებ, მიყვარხართ, — წერს მომღერალი სოციალურ ქსელში.

# ია ნინიძე ბებია გახდება

რუსეთში მოღვაწე ქართველი მსახიობი ია ნინიძე ბებია გახდება. მისი გოგონა ნინო ნინიძე რუსი მსახიობისგან არის ორსულად. ინფორმაციას რუსი ჟურნალისტები ნინო ნინიძის მეგობარზე დაყრდნობით ავრცელებენ.

24 წლის ნინო ნინიძის რჩეული 35 წლის კირილ პლეტნევია. წყვილი უკვე აღარ მალავს თავის ურთიერთობებს და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ერთად ჩნდება.

კინოფესტივალზე „კინოტავრი“ რუსი ჟურნალისტები განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდნენ ნინოს და კირილს. ისინი არ გაურბოდნენ პაპარაცებს და საზოგადოებას. როგორც ნინოს ახლო მეგობარმა ჟურნალისტებს განუცხადა, წყვილი დაქორწინდებას მალე აპირებს, ქორწილის მიზეზი ნინოს ფეხმძიმობაა.

ნინო და კირილი ერთმანეთს ნიკიტა მიხალკოვის პროექტში შეხვდნენ. მან უჩვეულო პროექტი „კინომატარებელი“ განახორციელა. პროექტში მიწვეულ მონაწილეებს შორის აღმოჩნდა ია ნინიძე, მან თავისი გოგონაც თან წაიყვანა. ამავე პროექტში მონაწილეობდა კირილ პლეტნევი. მსახიობმა შანსი არ გაუშვა ხელიდან და იას გოგონა გაიცნო. წყვილის ახლობლები ამბობენ, რომ პროექტის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები უკვე წყვილის სტატუსით სარგებლობდნენ და სულ უფრო მეტ დროს ატარებდნენ ერთად.

— ნინაჩკამ გადაწყვიტა კარიერა მოეწყო, უარს არანაირ შეთავაზებაზე არ ამბობდა, ბევრ გადაღებაში მონაწილეობდა, სწავლის დროსაც კი, მაგრამ როცა კირილს შეხვდა, მან იმდენად გაიტაცა, რომ თავი დააკარგვინა, — უამბობენ ნინოს



მეგობრები რუს ჟურნალისტებს.

კირილ პლეტნევისთვის ნინოს პატარა მესამე შვილი იქნება, მას წინა ქორწინებაში მსახიობ ლიდია მილუზინასთან ორი შვილი უკვე ჰყავს.

# რუსა ჩაჩუა გოგონას დედა გახდა



მოდელი რუსა ჩაჩუა, რომელიც ფართო საზოგადოებამ მუსიკალური შოუ „ბრავოს“ პირველი სეზონის წამყვანის ამპლუაში გაიცნო, გოგონას დედა გახდა.

მოდელმა მესამე შვილი 39-ე კვირაზე ჩაჩავას კლინიკაში გააჩინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მშობლებმა პატარას ნატაშკა დაარქვეს. გოგონას მამა დიმა ნაფეტვარიძეა. წყვილმა ხელი თბილისის ქორწინების სახლში მოაწერა, ჯვარი კი რამდენიმე თვის წინ სამებაში დაიწერა.

რუსა ჩაჩუას პირველი ქორწინებიდან გოგო და ბიჭი ჰყავს. ამჯერად კი საყვარელ ადამიანთან მესამე შვილი, პატარა ნატაშკა გააჩინა. სოციალურ ქსელში წყვილმა ახალშობილთან ერთად უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

მიუხედავად ორსულობისა, რუსა მთელი ეს პერიოდი თავისი პროფესიით აქტიურად მუშაობდა. ის კოსმეტიკური ფირმა „ეივონის“ სახე გახდა და ჟურნალ „სტეპის“ პირველი ნომრის გარეკანიც დაამშვენა. დაუბრუნდება თუ არა ტელეეკრანს მოდელი, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ სამოდელო ბიზნესს რომ არ ჩამოშორდება, ეს უკვე გადაწყვეტილია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# რუსთავი 2-ს კონცერტი ფოთშიც ჩაუშალეს

ქუთაისის შემდეგ, რუსთავი 2-მა კონცერტის ჩატარებაზე უარი ფოთშიც მიიღო. ღონისძიება, რომელიც კარგა ხნის წინ დაანონსდა და ახალგაზრდებისთვის სრულიად უფასოდ ღია ცის ქვეშ უნდა გამართულიყო, გაუქმებულია.

კონცერტში მონაწილეობა უნდა მიეღოთ კომედი შოუს მსახიობებს, იქს ფაქტორის კონკურსანტებს და ჯგუფს „გამოუვალი მდგომარეობა“. კონცერტის დაბლოკვის გადაწყვეტილება ფოთის ხელმძღვანელობამ მიიღო. ფოთის მერიის გადაწყვეტილება რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობამ ფოთის მერიისგან უკვე მიიღო. წერილში გაკეთებულია განმარტებები იმის შესახებ, რომ ქალაქის ცენტრალური მოედანი, რუსთავი 2-ის ნაცვლად, ფოთელი ახალგაზრდებისადმი მიძღვნილ კონცერტს უნდა დაეთმოს.

— ადგილობრივ ხელისუფლებას არა აქვს შესაძლებლობა, უარი გვითხრას. ამას



კანონი არ ითვალისწინებს. გაუგებარ რაღაცას აკეთებენ, ფოთში უკვე გააკეთეს. უკანა რიცხვით რაღაც კონცერტები ჩანიშნეს, ვითომ ადრე იყო დაგეგმილი. არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, ბათუმის მერიამაც იგივე გადაწყვეტილება მიიღოს და რუსთავი 2-ს კონცერტის ჩატარებაზე უარი უთხრას. ჩვენი ინფორმაციით, იგივე ხდება ბათუმის მერიაშიც. იმდენი ლოკაციაა ბათუმში, როგორ აპირებენ, რომ შეავსონ, არ ვიცი. ამ ლოკაციებზე კონცერტები არ იყო დაგეგმილი. ზუსტად ვიცი, რომ აპირებენ შეავსონ ეს ლოკაციები მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ კონცერტზე უარი გვითხრან, — აცხადებს არხის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია. ბათუმის მერიაში განმარტავენ, რომ მათ რუსთავი 2-ის განცხადება უკვე მიიღეს და ერთ-ორ დღეში გადაწყვეტილებას გაასაჯაროვებენ.

# ახმეტელის თეატრი ბრაზილიაში მიდის

ახმეტელის თეატრის დასი სპექტაკლით 222 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიემგზავრება. ფესტივალში საქართველოდან მხოლოდ ახმეტელის თეატრია მიწვეული.

222 ბრაზილიელმა რეჟისორმა როდრიგო ფიშერმა დრამატურგ ანტონინ მარტოსთან, იგივე ირაკლი კაკაბაძესთან და ახმეტელის თეატრის ოთხ მსახიობთან ერთად ანდრია გველესიანთან, სოფია სებისკვერაძესთან, გიგი მიგრიაულთან და გიორგი ცხადაძესთან ერთად დადგა. სპექტაკლის პრემიერა ახმეტელის თეატრში გაზაფხულზე შედგა.

როდრიგო ფიშერი ბრაზილიელი ხელოვანი, მსახიობი, რეჟისორი, პედაგოგი და განათლებულია, რომელიც ახალი აუდიოვიზუალური ენისა და ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებს ჰიბრიდული კვლევის ინტერფეისს კინოსა და თეატრზე.

ახმეტელის თეატრის მსახიობებთან ერთად ბრაზილიის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობენ პორტუგალიის, ესპანეთის, პოლონეთის, ავსტრალიის, საფრანგეთის, არგენტინის და გერმანიის თეატრალური დასები.

ფესტივალი ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში 18-30 აგვისტოს გაიმართება. ახმეტელის თეატრი მაყურებლის წინაშე 17 აგვისტოს წარდგება.

# ლაშა ბუღაძე მკითხველებს გერმანიაში შეხვდა

მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე საქართველოს საელჩომ გერმანიაში სპეციალურ საღამოზე მიიწვია, სადაც ის თავის ერთგულ მკითხველს შეხვდა.

საელჩოში გამართულ შეხვედრაზე ლიტერატურული საღამო მოეწყო, სადაც ლაშა ბუღაძე ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე მისული დიასპორისთვის მწერალმა თავად წაიკითხა ნაწყვეტები თავისი ნაწარმოებებიდან და მკითხველის მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა.

ლაშა ბუღაძე ევროპაში ბევრს მოგზაურობს და ქართულ დიასპორებთან შეხვედრებსაც ხშირად მართავს. მისი ნაწარმოებები უცხოეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ლაშა ბუღაძის პიესა „ნავიგატორი“ ბიბისის მიერ გამოცხადებული საერთაშორისო რადიოპიესების კონკურსის გამარჯვებულიც გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

**განცხადება**

**შპს „ქობულეთი რეალ ისთეით“-ის (ს.კ. 446954154) პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ**

შპს „ქობულეთი რეალ ისთეით“-ის დამფუძნებელიპარტნიორი შპს „ქობულეთი რეალ ისთეით“-ის სკ 245554555 დირექტორი ზურაბ ანთელიძე (ტელ: 595309070) იწვევს შპს „ქობულეთი რეალ ისთეით “-ის დამფუძნებელპარტნიორს ბატონ ავთანდილ გოგიტიძეს (პნ 61004000351) პარტნიორთა კრებაზე 2015 წლის 4 აგვისტოს 12:00 საათზე. მისამართი: ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის №277-ა.

**შპს „ქობულეთი რეალ ისთეით “-ის პარტნიორთა კრების დღის წესრიგი 4 აგვისტო 2015 წელი**

შპს „ქობულეთი რეალ ისთეით“-ის (ს.კ. 446954154) იურიდიული მისამართის ცვლილების შესახებ (არსებული მისამართი „ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის №277-ა“ შეიცვალოს მისამართით: „ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3ა, ბინა 20“).

# შსს-მ და შემოსავლების სამსახურმა აფრიკის მოქალაქე დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქე, 1986 წელს დაბადებული ნომახოსა პუმლა ვინიფრედ ნ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, საბაჟო პროცედურების გავლისას დააკავეს.

დადგინდა, რომ დაკავებულს ხელჩანთაში სპეციალურ სამალავი ჰქონდა მოწყობილი, საიდანაც ქართველმა სამართალდამცველებმა 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული ნარკოტიკი გამომშრალი მარიხუანაა და მისი საერთო წონა 9 კილო და 700 გრამია. დაკავებული საქართველოში დოჰა-თბილისის რეისით ჩამოფრინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

## fcnhjghjuyjpb

30 ივლისისთვის



**ვერძი** — ხელმძღვანელობასთან კონფლიქტია მოსალოდნელი. უცაბედი ახალი ამბის გამო გეგმების შეცვლა მოგიწევთ. გამორიცხული არ არის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. **კურო** — საყიდლებზე წასვლისას ყურადღებით იყავით, შესაძლოა, მოგატყუონ ან ფული უაზროდ გაფლანგოთ. საღამოს ოჯახის წევრების გარემოცვაში თავს დაცულად და კომფორტულად იგრძნობთ. **ტყუპები** — კარგი დღეა ახალი ნაცნობების შესაძენად. თქვენი კომუნიკაბელობის წყალობით გელით ფინანსური კეთილდღეობა. **კირჩხიბი** — დღეს საშინაო საქმე აკეთეთ. იყავით ოპტიმისტი. გელით სასიამოვნო მოულოდნელობა. **ლომი** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. იყავით პრინციპული. შემთხვევითი ნაცნობობა უსიამოვნოდ დასრულდება. **ქალწული** — კარგი პერიოდია ხანგრძლივი მოგზაურობისათვის, მივლინებაში წასასვლელად. გარშემომყოფებს თქვენს აზრს თავს ნუ მოახვევთ. **სასწორი** — წინააღმდეგობრივი დღეა, მოსალოდნელია როგორც კარგი ახალი ამბები, ისე უსიამოვნო სიურპრიზიც. **ღრიანკალი** — მომავალი თამამად დაგეგმეთ. დღეს ყველაფერი გამოგივათ. მოულოდნელი ნაცნობობა თქვენს ცხოვრებაში დიდ როლს ითამაშებს. **მშვილდოსანი** — გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და კიდევ ბევრი სხვა კარგი სიახლე. **თხის რქა** — ქალებს ახალი გატაცება ან მსუბუქი ფლირტი გელით. მამაკაცებს ძველი სიყვარული გაახსენებს თავს. **მერწყული** — საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სტაბილურია. საღამოს ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. ახლობლების რჩევა ყურად იღეთ. **თევზები** — მშვიდი დღეა. იშრომეთ თავდაუზოგავად და შედეგსაც მოიმკით. ყურადღებით დააკვირდით გარშემომყოფებს. ბევრ მათგანში ახალ-ახალ ღირსებებს აღმოაჩენთ.

უბცეჰეტ,ხ ,ტcყბტჰ cქტც=

## hჰჯცეჯჰcბ ,

**შვეულად:** 1. სოფლის შარაგზა; 2. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 3. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 4. წითელ ღვინოში ჩამბალი პურისგან მომზადებული შეჭამანდი; 5. ჟესტებითა და მიმიკით გადმოცემული უსიტყვო, თეატრალური წარმოდგენა; 9. საკუთრებაში არსებული ნივთებისა და ფასეულობების ერთობლიობა; 12. სომხური ანბანის შემქმნელი; 14. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 15. მდინარე თბილისში; 17. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 18. აბრეშუმის ჭია.

**თარაზულად:** 6. მართლმსაჯულება ანუ...; 7. მოძღვრება ღვთისმეტყველების შესახებ; 8. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ავსტრალიური ველური ძაღლი; 11. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 13. ჩეჩნებისა და ინგუშების ძველი სახელწოდება საქართველოში; 16. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 19. ღვინის სპირტი; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმდტ.ყტ,ეკბ რჰჯცდჯჰლტ,ბც გფცე[ტ,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სერფინგი; 2. ესენცია; 3. ელიტა; 4. თაღლითი; 5. რეალობა; 10. დუმპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. „არლანდა“; 15. მანდოლინა; 16. გრინგო; 17. ავენიდა; 20. ბანკო.

**თარაზულად:** 6. მეფისტოფელი; 7. ზაგრები; 8. დიაფანი; 9. ანემია; 13. ტაბუ; 14. რუტერი; 18. პარანომია; 19. რვალი; 21. თართი; 22. კონცხი; 23. კარბონადო; 24. სტადიონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფაზენდა; 2. სფერო; 3. დინამიტი. 4. გოდერძი; 5. „კალვადოსი“; 9. „გლაქსო“; 12. მარკონი; 14. არმაზი; 15. ერბო; 17. რიონი; 18. „ჯანი“.

**თარაზულად:** 6. ზარაფი; 7. ბიოლოგია; 8. ტეხური; 10. „ბრაგა“; 11. ჰაუტვახტი; 13. პამპერსი; 16. ჟაკარი; 19. ავტობანი; 20. პიტიუნტი.

# თუ კოჟრი გაწუხებთ

თუ ფეხისგულზე და ქუსლზე კანი გაუხეშდა და გასქელდა, საჭიროა თბილი წყლით დაბანვისას გაიხეხოთ პემზით.



თუ ამ პროცედურამ არ გიშველათ, გაიკეთეთ სოდიანი ცხელი წყლის აბაზანები, რომელშიც ჩაუმატებთ საჭმლის სოდას (ჩაის კოვზი სოდა ერთ ლიტრ წყალზე). ასეთი აბაზანის შემდეგ სქელი ფენა კვლავ გაიხეხეთ და ფეხის გულზე და ქუსლზე წაისვით დამარბილებელი საცხი.

სასურველ შედეგს 6-10 დღის განმავლობაში ყოველდღიურად ფეხებსა და ქუსლებზე ხუთპროცენტიანი სილიცილის მალამოს შეზელვა, შემდეგ ისევ ფეხის აბაზანა და ფეხის გულის და ქუსლის გახეხვა პემზით. უფრო რთულია კოჟრის მოშორება. ამ დროს საჭიროა ყოველდღიურად ფეხის თბილი აბაზანების მიღება, თუ კოჟრის ფესვები ღრმად არის ჩაზრდილი, კოჟრი რამდენიმე აბაზანის შემდეგ მოსცილდება.

კარგია კოჟრზე აბაზანის შემდეგ ძმარში დასველებული პურის საფენი. კოჟრის (თუნდაც ძველის) განკურნება შეიძლება, თუ 6-7 დღის განმავლობაში დააფარებთ შემწვარ ხახვს, ლიმონის ქერქს ან გახეხილ კარტოფილს, ოღონდ საჭიროა სიფრთხილე: პურის გული, ლიმონი, ხახვი, კარტოფილი უნდა ფარავდეს მხოლოდ კოჟრს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ჯანმრთელი კანის გაღიზიანებას. 6-7 დღის შემდეგ საჭიროა ფეხის აბაზანის მიღება და კოჟრის აფხეკვა.

## სახის კანის მოვლის 'საიდუმლო~

?ახის კანის მოვლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ წყალს იყენებთ პირის დასაბანად. უპირატესობა ეძლევა რბილ წყალს, რომელიც არ შეიცავს კანის გამაღიზიანებელ ნივთიერებებს. ასეთია წვიმისა და თოვლის წყალი, კალციუმის მარილების შემცველი ხისტი წყლის ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კანის გაღიზიანება. ამიტომ საჭიროა წყალი ხმარების წინ ან აადუღოთ ან უბრალოდ მასში ჩავუმატოთ საჭმელი სოდა (ჩაის კოვზის მეოთხედი სოდა ერთ ჭიქა წყალზე).

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება წყლის ტემპერატურასაც.

ვისაც მშრალი სახის კანი აქვს, უნდა მოერიდოს ხისტი და ცივი წყლით სახის დაბანას, დაბალ ტემპერატურას, სახის არააკურატულად გამშრალებას, საპნის ხშირ ხმარებას. ზემოაღნიშნული კიდევ უფრო აშრობს კანს, იქერცლება და წარმოიშობა კანის დასკდომაც.

სჯობს, სახე დაიბანოთ მხოლოდ საღამოთი, რადგან ღამის განმავლობაში გამოყოფილი ცხიმი გროვდება კანზე. დილით პირის დაბანით კანი გაუცხიმოვნების (სიცივის, სიცხის, ქარის) მიმართ მგრძნობიარე ხდება.

სახე უნდა დაიბანოთ ოთახის ტემპერატურის გადადუღებული წყლით უსაპნოდ. თუ ხელთ არ გაქვთ ანადუღარი წყალი, დასარბილებლად ერთ ლიტრ წყალში ჩაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა.

კარგია სახეზე დამბალი შავი პურის ფაფის წასმა 2-3 წუთით, რომელსაც შემდეგ ჩამოიბანთ და წაისვამთ მკვებავ მალამოს, მაგრამ თუ სახის კანი მეტისმეტად მშრალია, გირჩევთ, კვირაში 2-3-ჯერ გაიკეთოთ დამარბილებელი ნიღაბი, რომელსაც ერთი კვერცხის გულითა და ერთი ჩაის კოვზი თაფლით დაამზადებთ. ნიღბის მოცილების შემდეგ ცხიმიანი მკვებავი შეიზილეთ. გამოგადგებათ თანაბარი რაოდენობის კვერცხის გულის, თაფლის, არაჟნის ნარევიც.

უნდა მოერიდოთ პუდრის ხმარებასაც, რეკომენდებული არ არის სახის კანის გაწმენდა სუნამოთი, სპირტზე დამზადებული ბალახეულის ნაყენებით.

## მკურნალი ბუნება

**გვირილა** — რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომადგენელია. არსებობს გვირილის 400-მდე სახეობა. თუმცა მედიცინაში გამოიყენება სამკურნალო გვირილა, რომელიც ერთწლიანი, 35-40 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. აქვს სწორი ღერო. ყვავის ივნისიდან ოქტომბრამდე.

სამკურნალო მიზნებისათვის აგროვებენ მის ყვავილებს. რომელიც შეიცავს ეთერზეთებს, სიტოსტერინს, იზოვალერიანის მჟავას, კაროტინს, წოლინს და ვიტამინებს. გვირილის ყვავილების ნაყენს იყენებენ, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელ და ანტისპაზმურ საშუალებას, აგრეთვე ბრონქიალური ასთმის, ალერგიის, რევმატიზმის, კოლიტის, გასტრიტის, ეგზემის, დამწვრობის სამკურნალოდ. აგრეთვე ნაღვლის დამდენ და ოფლის მომგვრელ საშუალებას.

გვირილას ნაყენი გამოიყენება სტომატოლოგიაში.

**თავშავა** — მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ქართლში მას შავბალახას ეძახიან, რაჭაში ჩაის პიტნას, აჭარაში ისხანს. მისი ნახვა შესაძლებელია მინდორში, ტყეში, ბუჩქნარებში აქვს წვრილი, მოვარდისფრო-მეწამული ყვავილები.

თავშავას ფოთლები შეიცავს: ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და ასკორბინის მჟავას. თავშავას ბალახს მეფუტკრეები იყენებენ ჩრჩილისა და ჭიანჭველების საწინააღმდეგოდ. ეს მწერები თვაშავას ეთერზეთების სურნელებას გაურბიან. ქართულ ხალხურ მედიცინაში იგი მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, რომელსაც მეტწილად ყვავილობის პერიოდში ხმარობენ, თავის ტკივილის, ქოშინის, კუჭ-ნაწლავთა დაავადების, უძილობის შემთხვევაში. საუკეთესოა ყვავილებისა და ფოთლების ნახარში ბრონქიტის დროს, როგორც ამოსახველებელი საშუალება. სოფლის მოსახლეობა თვაშავას ნედლ ბალახს იყენებს ჩაის მაგივრად, რომელიც მეტად სასიამოვნო და არომატულია. იგი რეკომენდებულია ნერვებაშლილობის, უმადობის, სიყვითლის, ეგზემის დროს. აგრეთვე ჭრილობების მოსაბანად.

**პიტნა** — ბაღის პიტნა მრავალწლიანი, 50-70 სმ სიმაღლის, ბალახოვანი მცენარეა. მისი ფოთლები ჯვარედინადაა განლაგებული. ყვავილები ღია ან მოწითალო ვარდისფერია.

პიტნა ყვავის ივლისის



დასაწყისიდან სექტემბრამდე. მკურნალობის მიზნით, გამოიყენება როგორც ბაღის, ასევე მთის პიტნაც. იგი შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რომელთა ძირითადი ნაწილი მენთოლისგან შედგება, რომელიც შედის უამრავი სამკურნალწამლო საშუალების შედგენილობაში.

პიტნის ჩაი გამოირჩევა ოფლისმომდენი, სპაზმისმომხსნელი, წნევისდამწევი, მსუბუქად დამამშვიდებელი ეფექტით. სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი და ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების დროს. მისი ფოთლების ნაყენი ამცირებს გულისრევის შეგრძნებას, აყუჩებს კბილის ტკივილს და აჯანსაღებს პირის ღრუს. პიტნის ზეთი ხშირად გამოიყენება არომათერაპიაში.

**შინდი** — შინდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ბუჩქოვანი მცენარეა, თუმცა ზოგან 2-6 მ სიმაღლის ხედაც იზრდება.

მისი ნახვა შესაძლებელია ყველგან: მუხნარში, რცხილნარში, ტყის პირებსა და მდინარის სანაპიროზე. შინდი ადრე გაზაფხულზე ყვავდება, ნაყოფი კი შემოდგომაზე მწიფდება და წითელ ფერს იღებს. შეიცავს ორგანულ მჟავებს, შაქარს შინდის ნაყოფისაგან მზადდება კერკი, მურაბა, ჯემი, ლიქიორი, ხდიან არაყს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც შემკვრელი საშუალება ნაწლავთა აშლილობის დროს.

## საზოგადოება

უძრავ ქონებაზე გარიგებების რაოდენობა მეორე კვარტალში პირველთან შედარებით 3,4%-ით, წინა წელთან შედარებით კი 4.5%-ით გაიზარდა და 133 ათას ერთეულს გადააჭარბა. განსაკუთრებული მოთხოვნა ახლადაშენებულ ბინებზე დაფიქსირდა: პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რიცხვი წინა წელთან შედარებით 16,8%-ით, ხოლო პირველ კვარტალთან შედარებით 8,2%-ით გაიზარდა.

მეორად ბინებზე უმნიშვნელო მატება აღინიშნა. მიუხედავად ამისა, მეორად ბინებზე გარიგებებს საერთო მოცულობაში კვლავ 80%-მდე უკავია.

პირველადი რეგისტრაციების ზრდას უძრავი ქონების სააგენტოში „მაკლერ.გე“ სამშენებლო კომპანიების მიერ გადახდების მოქნილი გრაფიკის დანერგვასა და ფასების შემცირებას უკავშირებენ.

# „კარგი დროა უძრავი ქონების შესაძენად“

### ფასები 15-20%-ით შემცირდა

— კომპანიების უდიდესი ნაწილი მომხმარებელს უკვე შიდა განვადებებს სთავაზობს, გარდა ამისა, კრიზისის გამო ფასები გაცილებით ადეკვატური გახდა, — განუცხადა სააგენტოს მენეჯერმა, ხათუნა შურღაიამ ბიპიენს.

მსგავსი ტენდენცია მთლიანად უძრავი ქონების ბაზარზე შეიმჩნევა.

— ფასები, დაახლოებით, 15-20%-ით შემცირდა, თან, თითქმის, ყველა უბანში, მათ შორის, პრესტიჟულ უბნებში. საბურთალოზე თეთრ კარკასს, მაგალითად, 600-800 დოლარად შეიძენთ, ვაკეში კი — 900-1000 დოლარად. ხშირია შემთხვევები, როცა ახლადაშენებულ ბინებს, სადაც ჯერ არც კი უცხოვრიათ, მფლობელები გაცილებით იაფად ყიდიან, ვიდრე თავად გადაიხადეს. ეს კარგი დროა უძრავი ქონების შესაძენად, — აღნიშნა ხათუნა შურღაიამ.

„საქმე.გე“-ს გენერალური მენეჯერის, ნიკა ჯაფარიძის თქმით, აგარაკების გაქირავებასთან დაკავშირებით განცხადებებმა მოიმატა:

— უძრავი ქონების გასაყიდად, ზოგადად, ზაფხული აქტიური სეზონი არ არის, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის სფეროში გამოცოცხლება შეიმჩნევა. განსაკუთრებით კი აგარაკის გაქირავებასთან დაკავშირებით მოიმატა განცხადებების რაოდენობამ.

ბელა ნოზაძე, ბიპიენი

# თინა ხიდაშელი: ივანიშვილი დაჭრილი სამხედროების მკურნალობას 1.000.000 მილიონით დააფინანსებს“



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაჭრილი სამხედროების მკურნალობას 1.000.000 დააფინანსებს, — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა , თინა ხიდაშელმა ხონში ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე განმარტებით, ბიძინა ივანიშვილს კაპრალ დავითაიას მკურნალობა უნდა დაეფინანსებინა, თიუმცა იგი გარდაიცვალა.

— როცა მინისტრად დავინიშნე, ბიძინა ივანიშვილს პირადად ვთხოვე კაპრალ დავითაიას მკურნალობის დაფინანსება, რომელიც 1 მილიონი ჯდებოდა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვასწარით და კაპრალი გარდაიცვალა, თუმცა დაჭრილი სამხედროების მკურნალობის დაფინანსებაზე შემოთავაზებას ბიძინა ივანიშვილი ღიად ტოვებს, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ბევრ ჯარისკაცს, რომელსაც მკურნალობა სჭირდება, -- განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისივე ინფორმაციით, ერთ-ერთი დაჭრილი ჯარისკაცი სამკურნალოდ თურქეთში უკვე გაემგზავრა.

ინტერპრესნიუსი



# ბარამიძემ პრემიის სახით 4.412 ლარი გამოიწერა

პარლამენტის წევრმა გიორგი ბარამიძემ, ერთ თვეში პრემიის სახით 4.412 ლარი, ხოლო საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის 1.129 ლარი მიიღო. ხელფასის გარდა, ჯამში 5.541 ლარი, ბარამიძეს 2012 წლის ნოემბერში აქვს აღებული. პარლამენტის აპარატის ინფორმაციით, ბარამიძემ პრემია მომდევნო თვესაც მიიღო, 4.150 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, 2013-2014 წლებში ბარამიძეს პრემია არ მიუღია, საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით კი, ყოველწლიურად, ჯამში 10.005 ლარი ერიცხებოდა.

მოწოდებული მასალების მიხედვით, 2012 წლის ნოემბრიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით, ბარამიძის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის სულ 21.973 ლარი დაიხარჯა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან ბარამიძე პარლამენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით შესული დეპუტატია.

ნსპ.გე

# გია გაჩეჩილაძე: რუსეთის აგრესიის შეჩერება შეგვეძლო“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

— ეს ყველაფერი გადმოცემებით ცნობილია. დოკუმენტებით უნდა ვისაუბროთ. 2007 წლის 8 მაისს პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული“, ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ფარგლებში.

***— არაერთი წერილი და ინტერვიუ დავწერე, რომ ეს სახელმწიფოებრივი ნაბიჯი არ იქნებოდა.***

— ახლა ბანერების დამონტაჟებაზე რომ არის საუბარი, ნაციონალებმა მისცეს საშუალება სეპარატისტებს, იმ საზღვრებში იმოქმედონ, რომელიც მათ დაუდგინეს 2007 წლის 8 მაისს.

***— რაც რუსეთმა ვერც ერთი ხელისუფლების დროს ვერ გააკეთა, ის მიიღო ნაციონალების დროს.***

— რუსეთმა ის მიიღო, რასაც ვერ იოცნებებდა ვერც ერთი ხელისუფლების პირობებში — ვერც შევარდნაძისა და ვერც ზვიად გამსახურდიას პერიოდში. ნაციონალების პერიოდში, პირველ რიგში, რუსეთმა ტერიტორიები მიითვისა, აღიარა და საქართველოს ტერიტორიის 20% დღეს დაკარგულად არის მიჩნეული.

შემდეგ ამ ტერიტორიებზე იმ სამხედრო ბაზების რეამინაცია მოახდინა, რომელიც შევარდნაძის მიერ, 1999 წელს სტამბულის ხელშეკრულებით იქნა გაყვანილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოთხი სამხედრო ბაზა შენდება.

***— მგონი, რუსეთის ბაზები უკვე აშენდა.***

— ასევე მთელი ეკონომიკა, რომელიც დაკავშირებული იყო სტრატეგიულ საკითხებთან, ჩვენი საექსპორტო პოტენციალის მწარმოებელი, ყველა სამრეწველო ობიექტი რუსების ხელში გადავიდა. თანაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რუსეთი ბერკეტად იყენებს, ენერგეტიკული ობიექტებია.

***— „ენერგოპროჯორჯია“ ჩეხურ-რუსული კომპანია ხომ არ არის?***

— ჩეხური კომპანიაა, მაგრამ არის ეჭვები, რომ ბანკების მეშვეობით რუსეთს უკავშირდება.

ნაციონალების დროს ენერგოობიექტების უმრავლესობა რუსების ხელში მოხვდა.

***— რომლებიც ელექტროენერგიის გაძვირებას მოითხოვენ. თუმცა, ზოგი ლარის კურსის დაცემას უკავშირებს.***

— გასაგებია, მაგრამ დააკვირდით, სომხეთში რა მოხდა. სომხეთშიც იგივე პროცესი განვითარდა, რაც საქართველოში, სომხეთშიც ყველაფერი ხელთ ჩაიგდო რუსეთმა ატომური ელსადგურისა და სხვა ელსადგურების ჩათვლით, რკინიგზაც რუსეთისაა.

გახსოვთ, 2004-2005 წლებში როგორ ცდილობდნენ რკინიგზის რუსეთისთვის მიყიდვას. მაშინ ყველამ ვიაქტიურეთ, ეს რომ არ მომხდარიყო. მაშინ ეზუგბაია იყო საქართველოს რკინიგზის უფროსი და მოხდა საიდუმლო შეხვედრა სოხუმში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში.



## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 30 ივლისი**

**08.00** ან/ფ "ცხოველთა სამყარო" "ანიმალია" **09.00** "ეს საქართველოა" **09.30** "სადილის დრო" **10.00** **"2015"** – ტანვარჯიში" მძლეოსნობა" ძიუ-დო" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **18.00** მხ/ფ. **"სიღარიბესა და სიმდიდრეში"** **21.00** მხ/ფ. **"ბერძენი მაგნატი"** (ე.ქუინი) **22.40** "უცნობი მუსიკა" **00.10** მხ/ფ. **"კამერა"** (ჯ.ჰეკმანი)

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10, 14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** **11.00** დ/ფ "პოლივირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" **12.00** მხ/ფ **"ვეტერინარი"** I-II სერ. **16.00** დ/ფ "კიდევ სცადე" **18.00** დ/ფ "ეფლი" **20.00** "მოამბე" (**5** ენებზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ **"სხვისი სიკეთისთვის"**(ე.ნორეგა)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55**, ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა"** **11.20** სერ. **"ბოშა ქალი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** ერთხელ საქართველოში **00.35** მხ/ფ **"ბინძური თამაშები"** (ნ.ნოლტი) **03.05** სერ. **"კამორას კლანი"** **4** სერ.

**06.30, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** პროფილი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ისტორიის გაკვეთილი **103** **06.40** პატერიკი "სიბრძნე ბალავარისა--იგავი სამი მეგობრის შესახებ" **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** საგუშაგო კოშკი-იელოვას მოწმეები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ერთსულოვნების" სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** ნაწ **1** **13.15** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** ქრისტიანული სწავლება **4** **15..05** ივერიის ეკლესია **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია გადაცემა **6** **16.10** კონცერტი **16.55** სალვთისმეტყველო საუბრები **17.35** ჩვენი ფონდი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო- უხილავი სამყაროს შექმნა **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები"-პაატა ბურჭულაძე **20.00** ქართული ხმები-სიღნაღი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პორტრეტები "ერთსულოვნების" გალერეადან "მარიამ დედოფალი" **22.25** კარაბადინი "აბორტი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფ. **00.30** ქართული ალბომი "ერთგულების ხიდი" გიორგი კარიჭაშვილის ოჯახი **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.20**, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ნასძარი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** **12.30, 18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **19.00 სერიალი "კატერინა"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00 სერიალი "ვანგელია"** **23.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.50** გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" **0.40 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"**

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტფყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2564

ევრო — 2.4967

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4999

100 რუსული რუბლი — 3.7828

## ამინდის პროგნოზი 30 ივლისისთვის




# ვინ ჯობია რობერტ სტურუას?



— ვინ ჯობია რობერტ სტურუას? ამ კითხვაზე პასუხი რუსთაველის თეატრის მსახიობს და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, პაატა გულიაშვილს აინტერესებს.

მსახიობი სოციალურ ქსელში საჯაროდ სვამს კითხვას და პასუხებს ითხოვს იმ ადამიანებისგან, ვინც ამბობს, რომ რობერტ სტურუა ახალს არაფერს აღარ სთავაზობს მაყურებელს და ერთნაირი ხერხებით მუშაობს რეჟისურაში.

პაატა გულიაშვილი:

— ახლა მე რასაც დავწერ, არ მოაბათ კუდები.. ალალად ვსვამ კითხვას იმ ადამიანების მიმართ, ვინც ამბობს, რომ რობერტ სტურუა ახალს არაფერს აღარ სთავაზობს და ერთნაირი ხერხებით მუშაობს რეჟისურაში. კითხვა: დამისახელეთ ერთი რეჟისორი, რა თქმა უნდა, თეატრალური მიმართულების, რომელმაც ნოვაცია ანუ სიახლე შემოიტანა ქართულ ხელოვნებაში და, თქვენი აზრით, სტურუას, მარტივად რომ ვთქვათ, სჯობნის? რა თქმა უნდა, მოქმედ რეჟისორებს ვგულისხმობ... თუკი არ გაგიჭირდებათ და დააფიქსირებთ კონკრეტულ ადამიანს, იქნებ სპექტაკლიც დაასახელოთ, რამაც ეს აზრი გაგიჩინათ! აბა, ვნახოთ, როგორი პირდაპირები და სამართლიანები ბრძანდებით! ვიმეორებ, კონკრეტულ პიროვნებებს არ ეძღვნება ეს პოსტი... რა თქმა უნდა, იმათი გამოკლებით, ვინც იძახის სტურუას რეჟისურა მოძველდა! აბა, გელოდებით, ჩემო სამართლიანებო! პ. გულიაშვილი.

# ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭაბუკის ტორსი ლოს ანჯელესში გამოიფინება



ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭაბუკის ტორსი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით II-I საუკუნეებით თარიღდება, ლოს ანჯელესის ჟან-პოლ გეტის მუზეუმში გამოიფინება. საგამოფენო სივრცე ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გამოფენას „ძალაუფლება და პათოსი — ელინისტური სამყაროს ბრინჯაოს ქანდაკებები“ დაეთმობა.

ექსპოზიციაზე მისული დამთვალიერებელი იხილავს ძველი სამყაროს შედევრებად აღიარებულ ნიმუშებს მსოფლიოს წამყვანი მუზეუმებიდან, ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმიდან, ნიუ იორკის მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმიდან, პარიზის ლუვრიდან, ვატიკანის მუზეუმიდან. მათ შორისაა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭაბუკის ტორსი.

ეს გამოფენა 2015 წლის მარტში ფლორენციაში, პალაცო სტროციში გაიხსნა. ლოს ანჯელესის შემდეგ ის ვაშინგტონის ეროვნულ გალერეაში გადაინაცვლებს. გამოფენა ჟან-პოლ გეტის მუზეუმში პირველ ნოემბრამდე გაგრძელდება.

# სიენენი საქართველოზე ფილმს იღებს




საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ტელეკომპანიის სიენენის ყურადღების ქვეშ მოექცა. მისი ჟურნალისტი ლაიან ტერნერი საქართველოში თავის ოპერატორთან ერთად უკვე ჩამოვიდა და დაინტერესებული ადგილებიც მოინახულა.

სიენენის ყურადღების ცენტრში მოექცა ქართული კინოც. უცხოელი ჟურნალისტი ეროვნულ კინოცენტრს ესტუმრა და მისი ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე ჩაწერა. ნანა ჯანელიძის გარდა, სიენენმა ინტერვიუ ჩაწერა ზაზა ურუშაძესთანაც,

ჟურნალისტი საქართველოს შესახებ ნახევარსაათიან ფილმს იღებს, რომლის ნაწილიც ქართულ ფილმწარმოებას დაეთმობა. ნანა ჯანელიძესთან და ზაზა ურუშაძესთან ჩაწერილი ინტერვიუები და ფილმი სიენენ ინტერნეშენალის ეთერში უახლოეს პერიოდში გავა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# 4 აგვისტოდან!

## „ახალ თაობასთან“ ერთად

# სამხილი „მარლბოროს“ კოლოფზე

## ქართული დეტექტივის მე-11 ტომი




# რობინზონ ბეგლარიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა

## გუშინ, 29 ივლისს, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს ნაკრებმა პირველი ოქრო მოიპოვა



60 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ძიუდოისტმა რობინზონ ბეგლარიშვილმა ფინალურ შეხვედრაში იტალიელი მანუელ ლომბარდო ვაზარით დაამარცხა.

მერვედფინალში ბეგლარიშვილმა სომეხი ტიგრან ბადალიანი დაამარცხა იპონით, მეოთხედფინალში ასევე იპონით აზერბაიჯანელ ისმაილ იბრაჰიმოვს მოუგო, ნახევარფინალში კი კვლავ იპონით ჰოლანდიელი ლარს კამფუი დაამარცხა.

გამარჯვებულს ოქროს მედალი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადასცა.

— უზომოდ გახარებული ვარ. ეს მართლაც საოცარი დღეა. მინდა მივესალმო ჩვენს ჩემპიონს. მინდა ვუთხრა მას დიდი მადლობა მთელი ქვეყნის სახელით იმიტომ, რომ მან ძალიან გაგვახარა. ეს არის პირველი ოქრო და მჯერა, რომ კიდევ ბევრ ოქროს ავიღებთ, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

კითხვაზე, სჯეროდა თუ არა, რომ ოქროს მოიგებდა ქართველი ძიუდოისტი, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, სჯეროდა.

— მთავარია, რომ ჩვენ გამარჯვების გვჯეროდეს, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# იუმორი



ტანდაბალი მამაკაცი მამაოს მიმართავს:

— მამაო, იქნებ ეს წმინდა გიორგის ხატი ცოტა ქვევით დაკიდოთ, თორემ მოვკვდი ამ გველეშაპის კოცნით.

●●●

ქალი ექიმს ეუბნება:

— ექიმო, ცუდად ვარ.

— გაიხადეთ და დაწექით.

— ცუდად ვარ-მეთქი, ახლა მაგის დროა?!

●●●

გოგონა ბიჭს ეკითხება:

— სვამ?

— არა.

— ეწევი?

— არა.

— ბანქოს თამაშობ?

— არა.

— ე.ი. უარყოფითი თვისებები არ გაქვს?

— ერთი მაქვს, ტყუილი მიყვარს...

●●●

ორი საწარმოს დირექტორი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— თანამშრომლებს ხელფასს უხდი?

— არა. შენ?

— არც მე.

— შენები სამსახურში დადიან?

— კი. შენები?

— ჩემებიც.

— სამსახურში მოსვლა ფასიანი ხომ არ გავხადოთ?

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

— მე შენთვის მხოლოდ კონკია ვარ!!! ვრეცხო, ვალაგო, ვასუფთაო, საჭმელი გიკეთო...

— მერე რა გინდა? ხომ გეუბნებოდი, გამომყევი და ისე გაცხოვრებ, როგორც ზღაპარში-მეთქი...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

— ექიმთან ვიყავი და მირჩია, დასასვენებლად ან ანტალიაში წადი, ან ოქროს ქვიშებზეო და შენ რას მეტყვი, სად წავიდე?

— სხვა ექიმთან.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— თუ კიდევ მაწყენინებ, იცოდე „ანჩხლი ქალების“ კურსებზე დავიწყებ სიარულს.

— მასწავლებლად?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. დუქნის დახლიდარი; 2. მიმდინარე ცხოვრების ამსახველი ცნობების ქრონოლოგიური აღნუსხვა; 3. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 4. აეროპორტი ბუქარესტში; 10. ფრანგ პარტიზანთა სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს; 5. ლამასებრთა ოჯახის შინაური ცხოველი; 11. წარმოების, ორგანიზაციის მართვა; 12. შაქრის შემცვლელი; 15. სამძებრო პოლიციის თანამშრომელი; 16. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 17. რომელიმე ნაწყვეტის, ფრაგმენტის ამოღება მხატვრული ან მუსიკალური ნაწარმოებიდან; 20. გერმანული ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი, ხუროთმოძღვრული ძეგლი რაჭაში; 7. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 13. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 14. შაქრის წარმოების ნარჩენი, სქელი შავი სითხე; 18. ზღვის დიდი ფრინველი; 19. მტრედის ბარტყი; 21. დამარილებული ღორის ქონი; 22. ამერიკული მულტიპლიკატორი; 23. ჟესტიკულაციით გადმოცემული უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა; 24. პირველი ქართული მხატვრული ფილმი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

